კაკა ედზისელი

კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრუსელი



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრიელი



კოლხური ფსალმუნები

ტომი 56

2020

მთ. რედაქტორი **ტიტე მოსია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2020**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-863-2 (56 ტომი)

* * *

ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟაფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და შაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „გაჯადღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ძუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯეროობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„ბულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელი ეროვნულ ნიადაგზე მდგარი პოეტია. იგი ჩუმად, თავისთვის აკეთებს დიდ საქმეს. ხატისწინ ანთებს თაფლისფერ სანთლებს და ყველაზე სანუკვარ, ყველაზე სიღრმისეულ ფიქრებსა და სურვილებს პოეტურ ენაზე მკითხველებს უმხელს. მის ლექსებში ერთგვარი დიალოგია აწმყოსა და წარსულს შორის, რომელიც აწმყოსა და წარსულის შუქჩრდილოვანი შეპირისპირების ფონზე ხორციელდება, მაგრამ ნათლად ჩანს მკვეთრად გამოკვეთილი მიზანი — ქართული სულის, ქართული გენის, ერთიანი საქართველოს გადარჩენა, რომელიც ქართველ დედათა გამოზრდილებს ოდითგან მოსდგამდა:

„აყვარებდა საქართველოს ცას და მიწას,
მზით შებუმბლულ
თავის მართვეს,

(მან უწყოდა მის მამულში,
რომ დგებოდა ხშირად ნისლი).
და აჩვევდა მტერთან ბრძოლას —
დედა ქართვლის,
გამომცხვარი „პურის შუბით“,
„ხმლით და ისრით“.

ბუნებრივია, რომ შემოქმედის თვალსაწიერი უფრო ფართოა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით აღიქმება. მისი ფიქრი მრავალ პრობლემას და საწუხარს დასტრიალებს, მაგრამ მაინც სამშობლოს სიყვარულია ის ქვაკუთხედი, რომელზედაც დაფუძნებულია პოეტის შემოქმედება და მოღვაწეობა...

ვკითხულობთ რა თანმიმდევრულად ვაჟა ეგრისელის ნაწარმოებებს, ვრწმუნდებით, რომ იგი წერს ამა თუ იმ სიტუაციის შესაფერ ლექსებს, რათა გაათვითცნობიეროს თანამემულეები. იგი მათ შთააგონებს: აუცილებელია მოვიმოქმედოთ და ვიბრძოლოთ კონკრეტული ეტაპის შესაბამისად. ეს კი აუცილებელიცაა და სავალდებულოც. რადგანაც „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: ჟამი რას ითხოვს, ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილსა, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან:

„დროს ჰსჭვრიტე, !ამთა რა მოაქვს?
რას ისხამს, რა მოისთვლების“ — ქართველთაგან თქმულა მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცხოვების. ამიტომაც ამ ამოცანას ამისთანა პასუხს ვაძლევ და ზედ დავრთავ: „თუ !ამს ხელთ აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის სათავე და სტიმული სიყვარულია, სიყვარული, რომელიც მშობლიური მიწიდან იწყება და როგორც უსაყვარლეს ადამიანს, ის აძლევს მიწას ენერგიას, ზრუნვას, გულის სითბოს და მისგან ღებულობს ახალ ძალებს, სიხარულს, აღმაფრენის, გატაცების, შთაგონების სახით:

*

„წარსულიდან რომ ნელა ამოდის —
მარადიული ჩემი ფესვია:
დიაოხია,
მიდია და ქალდე,
ლაზიკა,
ვერ წააქცევენ ჩემს ხვალის დღეს და პოეზიას,
რადგან სამშობლოს სიყვარული —
უდევს საძირკვლად“.

ან

*

„ისტორიის ძველ საბძელში
გალეწილი —
სხვათა ხმები.

ვით მარცვალი ყრია ფეტვის.
შენ ზღვისკარად დგახარ ულოდ.
მტერ წარსული მიაფე-
თე!
ვინც დაგეძებს, კვლავ გპოულობს,
კოლხო —
ძეო იაფეტის“.

როცა ამ ლექსებს კითხულობ, არ შეიძლება ფედერიკო გარსია ლორკა არ გაგახსენდეს: „მე მიყვარს მიწა, ყველა ჩემი გრძნობის ფესვი მიწაშია. ჩემი ბავშვობის ყველაზე ადრეულ მოგონებებს მიწის გემო აქვთ. მიწა, მინდორი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. მიწის ბინადართ, მცენარეებს, ცხოველებს, გლეხებს მე უფრო აშკარად ვგრძნობ, ვიდრე ბევრი სხვა ვინმეს. ჩემში დღესაც ცოცხლობს ის ბავშვური აღქმა, მიწისადმი ამ სიყვარულმა გააღვიძა ჩემში ხელოვანი. ამ სიყვარულის გარეშე ვერ დავწერდი „სისხლიან ქორწილს“ ვერასოდეს შევქმნიდი ჩემს უკანასკნელ ტრაგედიას“...

ვაჟა ეგრისელის პოეზია სიყვარულისა და სიცოცხლის, ცის და მიწის, ხილული, თუ მოუხელთებელი სილამაზის სამყაროა. აქ ხარ, ქართულ მიწაზე: „მე არსად წავალ, ქართულ მიწას მე ვერ დავაგდებ, ანაბარას ათას ოხერთა“ — ეს მერამდენედ გიწივის ყურში. დიახ, აქ გიხარია სიცოცხლე. აქ ნამ-

დვილი ზეიმია ფერების, სიცოცხლის დღესასწაულია; შაშვების საგანთიადო ჭახჭახი და გაზაფხულის მერცხლების ჭიკჭიკი, ხვალინდელი, ნათელი დღის ჭეშმარიტი მოვლინება:

*

„მიდამო მერცხლების ჭიკჭიკით
ო, ალბათ,
სულ მალე
გათბება,
და ათას სიხარულს გვპირდება:
ტყემლების ქათქათა ბაფთები,
ნუშის თეთრ მკლავებზე
აცრილი კვირ-
ტები“.

პოეტის პალიტრა მრავალფეროვანია, მეტყველი ემოციით გაჯერებული. მისი პოეზიის გვირგვინი სიცოცხლეა. რწმენა და იმედია სიყვარულით ხორცშესხმული: სისხლისფერი ყაყაჩოები და კანდამსკდარი ბროწეულების ცეცხლები, ატმისა და ნუშის ყვავილები სიცოცხლის დღესასწაულისთვის ემზადებიან. დიახ, სიცოცხლე ხმიანობს, ბობოქრობს და მის ფერხთით შინდისფრად იშმუშნება ია-იების ბოლით გაჟღენთილი დედამიწა:

*

„კიდევ ცოტაც და...
                    მოვა აპრილი
    და ჩემს კოლხეთის ცაზე
                    ულურჯესს —
                  დაიხურავენ თავშალს იები.
ამოაფრენენ ბუდეებიდან —
                    მწუხრის გალობას
                    მაფშალიები“...

სწორუპოვარი ნიჭისა და გრძნობის პოეტი ღვთისაგან დალოცვილ ადგილს სამოთხეს ადარებს, თანამემამულეებს შთააგონებს, რომ სავალდებულოა გულგაუტეხელთა მხნეობა და, საჭიროებისდა მიხედვით მათთვის თავის განწირვა:

*

„მე ჩემი ღმერთი მყავს საკუთარი,
ღმერთი ნამდვილი და სრულყოფილი,
და არვის ძალუძს
                    მასთან გამყაროს.
საქართველოა —
                    მისი პროფილი,
მისი ანფასი —
                  მთელი სამყარო“.

(„ჩემი ღმერთი“)

ლექსის ლირიკული გმირი გვხიბლავს სულიერი სიმაღლითა და გულის მგზნებარებით. აქ ძლიერი რწმენის იმპულსია, ყოველი დღე ფერებითაა სავსე და მუდამ რაღაც ახლის მაძიებელია. თითოეულ ლექსში საკუთარი განცდები, ემოციები და სამყაროს მისეული ხედვაა.

*

„მამულო ჩემო!
მსაჯულებმა —
ჩემმა დღეებმა,
ძველმა დღეებმა, თანაც; ახლებმა,
დახვრეტა
და არც გადასახლება,
შენი მუდმივი სიყვარული
მე მომისაჯეს“.
(„მუდმივი სასჯელი“).

ვმსჯელობთ რა ვაჟა ეგრისელის პატრიოტული ლირიკული ქმნილებების შესახებ, რომლებიც დიდოსტატის მიერაა ნაძერწი, გვახსენდება ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტის მოსაზრება: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი„.

„... მიხარია, რომ მეოცე საუკუნეში, ვაჟა-ფშაველას მერე ბუნებისა და სამყაროს თავისებურად აღ-

მქმელი, კიდევ ერთი დიდი პოეტი შეემატა ქართველ მწერალთა რიგებს.

...რაც დრო გავა, მით უფრო მეტი ბრწყინვალებად მიემატება მის პოეზიას, როგორც ამომავალ მზეს...

„... ვაჟა ეგრისელის შემოქმედება ჰგავს მაღალ მთიდან გადასახედს — მომავალში“ (ალექსი რაზიკაშვილი).

გონივრული აზრის ბრწყინვალე შედევრია „მალე გამოიდარებს“. ამ ლექსში მკითხველს ესმის საშინელი გრიგალების ქროლაც. ავბედობის შემაზრზენი მრისხანებაც და მომავლის დიადი რწმენაც:

*

„საქართველოს ცაა შავი,
ავის მაცნე დღე დღეს
მისდევს,
მიდის! —
არრას იბარებს.
ყოველივეს ხედავს ქრისტე,
მალე გამოიდარებს“.

1993

დიახ, ია-ვარდებით როდია მოფენილი ქართველი ხალხის გზა, მაგრამ ავის მაცნე შავი დღეები აუცილებლად ჩამოეცლება ისტორიას და მალე

ჩვენს ქვეყანას გაანათებს ჩახჩახა მზე, რადგანაც ყოველივეს ხედავს ბოროტისა და კეთილის სწორუ-პოვრად ამწონ-დამწონი იესო ქრისტე, — გვაიმედებს მგოსანი.

ასეთი აზრმახვილი ნათქვამის შესახებ წერდა ქართველი ხალხის ნუგეშ-დიდება: „სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედებს სიტყვის ძალა და ძლიერება“.

გონებაანთებული პოეტი სხვა ლექსებშიც გამო-ხატავს მხნე განწყობილებას, ოპტიმიზმით გამსჭვა-ლულ მრავალთმრავალ ლირიკულ ნაწარმოებს შო-რის უნდა გამოვარჩიოთ „ჩვენ ქართველები“:

*

„როგორც იმედის და სინათლის თეთრი
პეპელა,
ჩვენ ქართველები!
შუქით ვჩნდებით
სწრაფად და უცებ,
მიწისკენ ვილტვით და გავეშებით„
ვით ამირანი... ცას ვუფატრავთ ვეება მუცელს —
ფიქრის და ელვის
თეთრი ეშვებით“.

მომავლის რწმენა, იმედიანობა აქ დახატულია გულმაგარი, გონებამახვილი პატრიოტიზმის მაღალი მიზნების შესატყვისად. ლექსის ლირიკულ გმირს

მტკიცედ სწამს, რომ ქართველები აუცილებლად დალაშქრავენ სასურველ მიჯნებს. ეს ლექსი ოპტიმისტი მგოსნის თანამემამულეებისადმი მიძღვნილი ჭეშმარიტი საგალობელია.

ვაჟა ეგრისელი, სიცოცხლის, სიხარულის, იმედიანი განწყობილების მხატვარია, სილამაზისა და სიკეთის დაუღალავი მეხოტბე.

განსაკუთრებით მომაჯადოებელია ლექსი „რწმენის ცა“.

*

„ჩემს მებრძოლ დღეებს,
ვით დაცემულ
გმირ ჯარისკაცებს,
მე აღვუმართავ ერთგულების
მაღალ ობელისკს
და მარადიულ ნათელს ვპირდები...
რადგან რწმენის ცა ჩაუქრობელი
იმედებით და ვარსკვლავებით
კვლავ იკვირტება“.

ასეთი სტრიქონების ავტორის, სიტყვითა და საქმით ხალხის ერთგულების, მისი დიადი მომავლის ჯანსაღი ტრფიალის შესახებ წერდა დიდი ილია ჭავჭავაძე: „ეგეთის უხვის შუქით და სხივით გამოკაშკაშებული ნიჭი ბევრჯერ არ ენახა ადამიანს“.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვაჟა ეგრისელის ლექსი „უცდის პოეტი სიკვდილს“, — აქ მგოსანი ჭეშმარიტების საკადრისი გულწრფელობით წერს ნამდვილი პოეტის ბედის შესახებ. მასში ნათლადაა დახატული შემოქმედის დიდი მოვალეობაც და ისიც, რომ ხალხისათვის, დიადი მიზნისათვის თავგანწირული შემოქმედი უკვდავია:

*

„არავის სჯერა ცოცხალი პოეტის,
რადგან სხვებივით წუხს,
ილხენს,
დადის,
მათ არ იციან, ან საიდან უნდა იცოდნენ,
რომ მხრებით დააქვთ დედამიწის ბოღმა
და დარდი.
სხვები მიდიან...
ის არსად მიდის,
რადგანაც სიტყვამ მწვანე ბალახად
უნდა იცოცოს —
კიდიდან კიდით,
და... უცდის პოეტი სიკვდილს,
მერე რომ იცოცხლოს!“

მართლაც რომ მადლით მოსილი და გაბრწყინებულია პოეტის ღვაწლი.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ჭეშმარიტი დასტურია იმისა, რომ მას საფუძვლიანად და შეგნებულად შეუსწავლია ხალხის ისტორია, რაც სიტყვა კაზმული მწერლობის მუდმივი და ამოუწურავი წყაროა. მდიდარია პოეტის სულიერი რესურსები. მტკიცედ მწამს და მჯერა: კეთილგონიერი და მადალკვალიფიციური მკითხველი, რომელიც სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტია, ვაჟა ეგრისელის ტომეულებს დამსახურებულად დადებს რჩეული პოეტების მხატვრული ქმნილებების გვერდით... უნებურად ისევ გარსია ლორკას მოვუხმობ: „იყო სიხარულით სავსე აუცილებლობა და მოვალეობა და ამას გეუბნები ახლა, როცა ძალიან მიჭირს, თუნდაც მუდმივად მტანჯავდეს სიყვარული, მაწამებდეს ის, რომ სამყარო აი, ასეა მოწყობილი. მაინც არასოდეს არ ვიტყვი უარს ჩემს კანონზე — სიხარულზე“ და კიდევ:

*

„ქართული სიტყვის დამყნობელს
და სწორუპოვარ მეხილეს.
ხედავდი ღმერთკაც ვაჟაში.
მისებრ შენი ხმაც —
ლაჟვარდში,
გადიგრიალებს მეხივით“...

მხოლოდ სამშობლო...
სხვა არაფერი

„ვაჟა ეგრისელმა შეძლო შეექმნა თვითმყოფადი, გამორჩეული პოეზია — რეალობით ინტუიტური ცხადქმნის შედეგი. მის ლექსების ენის სისადავე, ნათელი ექსპრესიულობა. ბგერითი და მუსიკალური მხარე ნამდვილი პოეტური ხელოვნების გამოხატულებაა. შეუდარებელია ვაჟა ეგრისელის ფორმით მინიატურული, მეტყველებით ხატოვანი და მეტაფორებით განუმეორებელი ლირიკული აღსარებები“.

ვაჟა ეგრისელის პოეტური თვალსაწიერი ვრცელი და ღრმაა. ყოველ ნაწარმოებს ეტყობა მძაფრი, საფუძვლიანი ფიქრისა და გონივრული განსჯის თვალი. თითქმის ყველა ლექსი თავისი სტრუქტურით ახალია და თავისებური. აი, თუნდაც:

*

„პიტალო კლდეზე მეფესთან ვდგავარ,
წარსული ტანში ჟრუანტლად მივლის...
ვახტანგი არა! მე მტრის ისრით ასჯერ ვარ
მკვდარი...
– „იყავნ ქალაქი!“ –
ატყვია თბილისს –
გორგასლის ხელმოწერა – მტკვარი“.

პოეტი უიშვიათესი მეტაფორული აზროვნების ნიმუშებს გვთავაზობს. მახვილი თვალით აღიქვამს

სამყაროს, მის მრავალფეროვნებას, სხარტი პოეტური შედარებები ლექსებს მატებენ ჰარმონიულობას, სიცხოველეს, აღქმის უნარს, რაც ყველა ლექსისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი, რადგან მეტაფორული აზროვნება პოეტისათვის იგივეა, რაც მხატვრისათვის მეტყველი ფუნჯი:

*

„... და საქართველოს უზარმაზარ ცის საწნახელში,
ვარსკვლავები კვლავ შიშველ ფეხებით,
ოჯალეშისფერ ნათელს წურავენ“.

პოეტისათვის სამშობლო, მამული, უზარმაზარი ტკივილია, რამეთუ დღესაც არ ასევენებს:

„... ქართლის ცაზე, რომ ჰკიდია,
მზე კი არა!
თავი გახლავთ პაატასი“.

„მკერდზე აყრია არაგველთა ჯაჭვ-მუზარადი და სიჩუმეში განისვენებს კრწანისის ველი, — სამასი წლის წინ რომ გამოჭრა ღალატმა ყელი, სწორედ ის სისხლი ყაყაჩოებს ისევ ღვარად სდის“...

ან კიდევ:

*

„ახლაც ჩამესმის შორეული ხმები
ნაღარის,
ეჰა მამულო!

მტრის თვალებში ეგდე
ბეწვივით.
აღმოსავლეთით დაგტიროდნენ
„მთანი მაღალნი“
ხოლო დასავლით თმაგაწეწილი
იდგა შავი ზღვა, ვითარცა შენი
ჭირისუფალი“.

დიახ, მოურჩენელია ეს სატკივარი: „ჩემი კრწანისით და მარაბდით მეწვის თვალები. შენს დიდ წარსულში მიღველფილი სევდის კოცონი, მამულო, ჩემში არასოდეს მიინავლება“.

პოეტს გულისძარღვამდე სტკივა და აფორიაქებს ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, არტანუჯი... „ვაჰმე, ხელიდან სხვა რამეც გამოგაცალესო“ — მიმართავს პოეტი მამულს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბრძოლებით დაღლილს ჩაგვთვლიმა და მტრებმა იდროვესო“.

პროფესორი კოტე მელაშვილი ამ ლექსის თაობაზე წერს: „ჩათვლემა წაგებული დიპლომატიის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის ნაცვლად ნახმარი პოეტური სიტყვაა. იგი ნიშნავს იმას, რომ მტერს ყოველთვის მტრად არ ვთვლიდით და ფეხქვეშ ვეგებებოდით. ერის ინტერესებს კასტური თუ კლანური ინტერესებით ვცვლიდით, მტრებთან საერთო ბრძოლის ნაცვლად ერთმანეთს ვებრძოდით. შევებრძოლეთ ჩვენ რუსეთს, როცა დაგვემუქრნენ, თუ დამოუკიდებლობას მოინდომებთ, სამაჩაბლოსა და

აფხაზეთს წაგართმევთო არ შევებრძოლეთ, პირიქით, საკუთარ მთავრობას შევებრძოლეთ, რუსთაველის პროსპექტზე ზარბაზნები გამოვაგორეთ და ჭურვები დავუშინეთ ჩვენს ხელისუფლებას... რაც ჩვენ ერთმანეთი ვჟლიტეთ, იმდენი მტერი რომ გაგვეჟლიტა, ვერავინ ვერაფერს წაგვარმევდა“.

პოეტი ელოლიავება დაჭრილ საქართველოს, ცდილობს განკურნოს მისი იარები, პოეტის უსამანო ფანტაზიას მხოლოდ ერთი ფარდა ეღობება — საქართველო. თავად კი ანთებული სანთელივით ლოცვად იღვენთება მამულის საკურთხეველზე. პოეტმა კარგად იცის, დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ ვაი, რომ „საქართველო ვერ ირჩენს ტკივილს და სტკივა ძველი ნაიარევი“.

საქართველოს თავზე ნიადაგ ელავდნენ „ბასრი ხმლები კიმერიელთა, არაბთა, თურქ-სელჯუკთა, მონგოლთა, სპარსთა, ბიზანტიელთა, თურქთა და რუსთა, მაგრამ სძლევდნენ მომხდურთ ნაშიერნი კოლხთა და ივერთა და ისტორია სწორად მიემართებოდა, სანამ შიგადაშიგ არ გამოერეოდა წიწამურისა და კრწანისის ტრაგედიები. მამულის მტრებმა და „უგუნურებმა“ ჩაიდინეს ეს:

*

„მარადის ჩემი სალოცავი
და საესავი
ზეცა ქართული —

წიწამურთან
თავს დამანგრიეს
მამულის მტრებმა და უგნურებმა,
იცოდნენ იმათ,
რომ ჩემს მკერდში
გულის მაგიერ
ჩემი სამშობლოს სიყვარული
რომ გუგუნებდა“.

დიახ, ეს პოეტის გულწრფელი აღსარებაა და მის ლირიკაში ჩვენი წინაპრების გმირული, მაგრამ ტრაგიკული ეპიზოდები მხოლოდ ერთი მიზნითაა განპირობებული. პოეტს სურს საქართველოს გარდასული დიდების წინ წამოწევით შეგვაგრძნობინოს ჩვენი დღევანდელი ყოფის სავალალო და უსაშინლესი მდგომარეობა. რამდენი უბედურება გადახდენია თავს საქართველოს, რამდენი დამიზნებული ჭურვი აფეთქებია, მაგრამ წიწამური სხვა იყო, როდესაც „წიწამურთან იქუხა თოფმა... შეკრთა და გულზე საქართველომ იტაცა ხელი“.

ციალა მესხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)
გაგრძელება შემდეგ ტომში

წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა

ისევ ბიბინებს ხსოვნის ბალახი,
ჯერ დავიწყებას ღერიც კი არ
წაუწყვეტია, –
გადმოიარა და არყოფნის
ზღვა გადალახა,
და ჩამაშტერდა თავხედურად თვალებში
ელდა.
წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა.
მორჩა,
გათავდა...
აწი სიზმრებს უნდა ვუცადო.

1984

ძველი ბრავიურა

ღამით ღმერთები წაეკიდნენ
ერთიმეორეს
და დაცალეწეს ცის დარბაზები,
რწმენა კი დუმდა,
არც წუხილი...
არც სამდურავი...
და აი, ახლა, კვლავ ყვავილობს
თვალში
მორწმუნის
მიწა –
მშიშარა ანგელოზთა ცრემლში .
მცურავი,
ცა –
ურჩ ღმერთების სისხლით
მორწყული.

1983

თებერვალი

თოვლის ფანტელების
ციური გალობით,
მოვიდა თებერვალი...
და სწორედ, დროც არი.
ჩვენ ვზივართ ბუხართან,
გუგუნებს რონსარი,
კლოდ შონე,
ფრანსუა,
დუტე და ნერვალი.

1987

* * *

მიედინება ყოფნა წუხილად...
მიხმობს არყოფნა უნდო,
უგულო.
რომ გამომტაცოს ძახილს უხილავს,
„კაფე-თესეო“ – კივის გუგული.
დღეები ცოდვა-მადლით მტვირთავენ,
მეც ვებრძვი დრო-ჟამს და არ
ვმშვიდდები,
სანამდე ყოვლით სავსე პირთამდე
სიმყუდროვეში ჩავიმშვილდები,
ჩემი სული კი სადმე მიჯდება –
ქართული ცისქვეშ,
როგორც მზეწვია,
ანდა ყაყაჩოდ აგიზგიზდება,
რადგან სიკვდილი ვერ დაეწია.

1981

სამშობლოვ ჩემო

მოველ დაღლილი,
        შენთა მტერთა სისხლისმთხეველი
და შენს სპეტაკ და წმიდათ-წმიდა
            საკურთხეველთან,
მე გულის გარდა რა მოვიტანო?
ადმომდგარო მზის
            სადარბაზოდან,
სამშობლოვ ჩემო! –
            კლდეო პიტალოვ!

1979

ზამთარი

უცებ მოგვადგა კარზე ზამთარი
                  და აწკრიალებს
                  ყინვის
                  თეთრ ზარებს,
(მენავთე სიკო გვეძახის თითქოს)
ვარსკვლავების მაღალ ცეცხლთან
                  დამჯდარა მთვარე
და ყინვით დამზრალ
                  ბებერ ძვლებს ითბობს.

1976

დუმს დედამიწა

გარდახდა ჟამი...
მზე დასავლეთით
ჩამოქვეითდა,
სხედან ცის ტოტზე ფიქრები და
სივრცეს ზვერავენ...
დადის სიკვდილი...
და ყოველი ღამედ იურვის.
დუმს დედამიწა...
საიდუმლო იმქვეყნიური,
ვერ ამოიცნო
ქვეყნად ვერავინ.

1971

დაჩი

შურით,
        მტრობით და
                ომების კვამლით,
მტერმა ვერ იქნა და
        ვერ დანისლა
ჩემი ქართლი და ჩემი კოლხეთი.
და შვილო ჩემო!
        მის დამცველად
                რადგან მოხვედი,
აჰა,
        სამშობლო გქონდეს ციხედ
                და საბრძანისად.

1981

სანამ დროა

მარმარილოდან –
        შორეული ძახილი ისმის:
სიბნელის გზაზე მიერეკება
ამაქვეყნიურ სითბოს,
                    სინაზეს,
ყოვლისმმუსვრელი ჟამი –
                    მარეკი.
და სანამ დროა,
                ადით ღამის გილიოტინაზე
და...
        უკვდავების ზარი დარეკეთ.

1982

რემა ზვირთების

მკაცრმა ქარებმა
                  და გრიგალებმა
ცემით,
        მუქარით მიწის ტვინი
                  გამოულაყეს
და მაინც ჰყვავის და სიცოცხლის
                  ფერით ირთვება.
ზღვა არ ისვენებს,
                  და ჭიხვინებს
                  როგორც ულაყი
და ყალყზე დგება რემა
                  ზვირთების.

1977

მაჩაბელი

მიაფურთხა და აუქნია
ხელი ცხოვრებას,
ცამ როცა მთვარის აფრა აუშვა.
მერე,
ვით უღრან ტყეში
ჩინართა,
ამ წუთისოფლის
აურზაურში
გაუჩინარდა.

1981

ვინ იყო იგი

ვინ იყო იგი,
ვინც ამქვეყნად
პირველი იშვა,
ათასწლეულთა რომ გაჰყვა ოქტავს.
ვინც შეერია
აქ არ ყოფნის
მტვერსა და ქვიშას
და მოკვდავთ შორის
პირველი მოკვდა?

1984

კრწანისის ველი

მტკვარი უჭირავს ორლესულივით,
მკერდზე აყრია
არაგველთა
ჯაჭვ-მუზარადი
და სიჩუმეში განისვენებს
კრწანისის ველი, –
სამასი წლის წინ
რომ გამოჭრა
ღალატმა ყელი,
სწორედ ის სისხლი
ყაყაჩოებს
ისევ ღვარად სდის...

1982

სტუდენტობა

წუხილის ჭერქვეში,
მთვარის მაღალ საყვავილეში,
ყველა იმედი
ვარდივით დაჭკნა,
და ახლა მხოლოდ რწმენის ლანდი
დაეხეტება,
მოჩვენებითი ღიმილით
და მხიარულებით...
ძმავ – სიდარიბევ!
ო, გაგიმარჯოს,
ჩვენ ერთხელ კიდევ შევხვდით
ერთმანეთს.

1961

* * *

მე შენში ვცოცხლობ...
და როს დავტოვებ,
გავყვები ღრუბლებს...
„მოცარტივით მეც მოვირთვები
და წავალ ქარში...“
და ჰე, ზღვაო,
შენებრ დამსაჯე:
უმაღლეს ძეგლად ულურჯესი
შენი ზვირთები, –
მე მეკუთვნის და...
აღმიმართე
დღეში ათასჯერ...

1971

დილის ნათელი

ამოუკენკავს ცის ბნელ სიღმიდან
                  და ვარსკვლავებით
                              სავსე არის
ღამის ჩიჩახვი.
მეტეორებმა მიუვალი გზები
                  გათელეს –
დიდი სინათლის დროშის ფრიალით.
და ჰა... სარკმელთან –
                  შებუმბლული
დილის ნათელი –
                  ჩუმად ფრთხიალებს.

1972

ჭიანჭველები

ზურგზე ჰკიდიათ ცა და ქვეყანა,
დაფუსფუსებენ...
დაეძებენ,
ყველგან, ყოველთვის,
ისინი ფიქრებს ჰგვანან პოეტის,
და ამ ფუსფუსში
წუთისოფელს მიაჭენებენ
აღვირახსნილი
ჭიანჭველები.

1968

ასკილი

ია-იების დღესასწაულზე
        მოვიდა მარტი და დღე ხარება
        კვირტებით ტოტებგადანასკვილი.
ჩრდილს და სიმწვანეს მინდვრის ბოლოს
                ძოვენ ხარები
და... მათ წინ მდგარი ციცქნა ასკილი
ტორეადორივით აფრიალებს წითელ
                მოსასხამს.

1972

მარაბდა

სძინავს ომის ღმერთს სისხლით
გალეშილს...
ციდან ვარსკვლავთა
არ ისმის ზარი,
თუმცა წარსული ავამღვრიე
და ავამტვერე,
და ისევ ისე მტეხავს დას მზარავს
ოთხასი წლის წინ ჩარჩენილი
ისრის ნამტვრევი.

1979

მგოსნის დედა

რადგან ღმერთია თვითონ პოეტი,
ცისიერს
მზერა ცისკენ გაურბის...
დღეა მზიანი
თუ ქარიანი,
გასცქერის სივრცეს –
უკვდავების გამომხმობელი.
და მგოსნის დედა,
ვით მარიამი,
არის უფალი...
და ღვთისმშობელი...

1972

* * *

მამის საგლოვად საფლავმა
უცებ მოუშვა
წვერი.
იქვე პატარა ჩიტი კი...
კვლავ უდარდელად მღერის.

1965

მოხუცი

„წუთია წუთისოფელი“

გუშინწინ იგი გაზაფხულის
მტირალ ცას მოჰყვა
და სიყვარულის დადგა ნაპირზე.
გუშინ დაღლილმა სტუმარივით
გაიარა ზაფხულის
ბაღში
და გულისყურით მოუსმინა
ხეების ლოცვას,
სხივთა ჟივჟივს
და მზის გალობას.
დღეს მეტად უკვირს,
რომ ასე სწრაფად
ფოთოლცვენის
ჩამოდგა ჟამი...

1967

ლენინგრადის ღამე

შუბლშეჭმუხვნილი,
როგორც უფალი,
იმზირებოდა – სამეფო უფლის
და ძილი ეგდო ღამის თათებთან,
შუადამისას ცამ გახსნა
შუბლი –
გათენდა.

1979

* * *

მაშრიყის მხრიდან და მაღრიბიდან
ცით და ხმელეთით
და ზღვისპირიდან:
საუკუნეთა მდვრიე ჯარი მოდგა და
მოდგა,
მაგრამ ვერასგზით
ვერ აღგავა
მიწის პირიდან
ჩემი ამაყი ჯიქთა ჯიში
და ჩემი მოდგმა.

1976

ვაზი და ქვევრი

სისხლის დ ცრემლის
გედგა უღელი,
სიცოცხლეს შენსას უღვთოდ ლეწდა
სიკვდილის კევრი,
რომ ჩამქრალიყო შენი მზე და
შენი კერია,
მაგრამ მწედ გყავდა დალოცვილი
ვაზი და ქვევრი,
და მტერი მიტომ
ვერ მოგერია.

1977

გეძახის გზები

ჟამი კი არა,
ჟამს შენ მბრძანებლობ,
გეძახის გზები...
სიბეჩავეს არ ხარ ჩვეული,
ჩაუქრობელი ცეცხლი გედება...
ვნახოთ!
ო,
ვნახოთ,
სად მიგიყვანს
გზა –
არჩეული,
ჩემო მებრძოლო, სულისკვეთებავ!

1960

მდინარეები შენი ძარღვია

შენს თვალებიდან ამოდიან
                    განთიადები,
რომლებმაც უცებს გამოარღვიეს
ღამის სიბნელე
                    და სიშორის
                    ფერმკრთალი სივრცე.
მდინარეები –
                    შენი ძარღვია
და ბობქარი ზღვა –
                    გულად გიცემს.

1987

სოფელი

მიდის სოფელი,
                მიჰყვება გზას ქალაქისაკენ...
        მიდის დაღლილი...
და ტალახიან შუკებს იხდის,
        როგორც ქალამნებს.
სიყვარული კი უკან მისდევს
ერთგულ ძაღლივით.
უმზერს ქალაქი
და... ვეღარ ცნობს თავის წინაპარს.

1957

* * *

ოთარს

ცაცხვების ჩრდილში მიმწუხრისას
ხსოვნა ინთება,
დგას შენი ლანდი,
შუქგაბზარულ მთვარის სარკესთან,
და კივის შავი სასოწარკვეთა,
პირდაღებული,
დავიწყების ლაბირინთებით.

.....

ო, ვინ მოგიხმო მარტოსული
ამ სიშორეში!..

1983

* * *

მოგვდევს დ მოგვდევს...
                    მოგვდევს ძუნძულით...
ხან შორით გვიღრენს,
და ადევს ფერი გაცრილი ქვიშის.
                    ძვალი და ტყავი,
                    თმაგაბურძგნული
მოგვდევს ნადირი –
                    სიკვდილის შიში.

1974

პატარა ქუჩა

არავინ არ ჩანს...
ნაცემ ლეკვივით
წკმუტუნებს ბნელში
პატარა ქუჩა.
ყველა ეზო-კარს ადევს ზამთრის
თეთრი ურდული...
სიცივეს ფანქრით შეუღებავს
თვალები
ლურჯად,
ცას, –
თოვლით სახე აქვს გაპუდრული.

1966

ჟამს გათენების

აქ მთელი ღამე ხეთა ჯარი კვირტებს
ისროდა,
მტკვარიც ხმალივით ტალღებს იქნევდა
და მერე გვიან –
ჟამს გათენების –
ისე დააჩნდნენ კრწანისის ველს
ყაყაჩოები.
თითქოს და ისევ გამოჟონა აქ –
წარსულიდან –
სპეტაკმა სისხლმა არაგველების.

1982

ტყის იდილია

თავის გასაჭირს ტირის ურემი,
მინდორს სტკივა გზა
და ნაურმალი
მიიპარება და ჩერდება
იქვე ღელესთან,
სადაც ჩრდილებში ქალწულივით
ჩემი სქვია წევს.
გამხდარი წვიმა
ტყის სიღრმეებში –
მაღალ თელებთან
თავის წერწეტა ტანს კვლავ მიარწევს.

1981

* * *

წახველ...
                    დამტოვე
მარტოობის შიშველ ნაპირთან
მოიქცა ჟამი...
                    და ნათელზე ფიქრის თუ
ელვის
მომესმის ჩქარი, მთვარეული –
შენი ფეხების,
თითქოს ქვად ვიქეც მარტოსული
                    და ახლა ველი
შენი გრძენული ხელის შეხებას.

1963

* * *

ხელაპყრობილი მზე და ლოცვები
შიშის ზარებით
ჩამორეკეს
ციდან ღმერთებმა.
მერე თქმულებამ...
და ათასმა ზღვამ
და ლეგენდამ
გადაუარა რძისფრად, მძინარ
ათასწლეულებს
და აქ, კოლხეთის ცის ქვეშ, – შედედდა.

1959

* * *

მომეჩვენება:
თბილისისკენ ხელებგაწვდილი
მორბიან გზები
ჩემი ხორგის და ლესიჭინის,
მოაქვთ მშობელი დედის ლოცვა
და ჯვარი ვაზის...
ქრება მირაჟი...
ნახირდამფრთხალ
მწყემსის ბიჭივით
დაღონებული ვზივარ მერე
მოწყენის ქვაზე.

1969

დიოსკურია

აქ
ცისარტყელას დაწყვეტილი
ქვითინებს სიმი
და მწარე წარსულს დასტირის კოლხთა,
ქარი ტორებს სცემს შავით მოსილ
ღრუბლების ბექობს.
აქ ზღვის ძახილი
და ტალღის ოხვრა
მომესმის მუდამ
დაღუპული
მამულის ექოდ.

1964

* * *

სძინავს დიდუბეს...
                    სძინავს მთაწმინდას,
და ვარსკვლავები ისე აწვიმს,
                    როგორც აწვიმდა...
და აქ, სიცოცხლე
                    და სიმაღლე
                    ჩემი მამულის,
ჟამს, როგორც განძი უძვირფასესი,
                    ლოდებქვეშა აქვს
                    გადამალული.

1969

ცისკრად მოფრენა

თვალებცრემლიან წუხილიდან
ცისკრად მოფრინდი,
გეგონა: ჟამი ხელგაწვდილი
კართან დაგიცდის.
და გვიან იწყე ზამბახებით
გზათა მოფენა.
მითხარ,
წყვდიადში, მხოლოდ ერთი
ლამაზ წამისთვის,
სიცოცხლევ ჩემო!
ნუთუ ცისკრად
ღირდა მოფრენა?

1968

ჟამს მიმწუხრისას

ჟამს მიმწუხრისას
ტყის ტაძარში
ჩურჩული ისმის,
მუხის ფესვებთან ციალებენ
ტახის ეშვები.
აჟრჟოლებთ ხეებს, –
შიშით მოცულებს.
და ვეღარ ვიგებ, ქარის პეშვიდან
ფოთლები ცვივა, თუ
ტყე ლოცულობს.

1958

დეკემბერი

დედაქალაქში
ბაღებს,
ხეივნებს,
ბერტყავს და ბერტყავს ჟამი ბებერი.
ფოთლებს თუ დღეებს
ცოცხით ხვეტენ იეზიდები.
წელში მოხრილი, ყრუ დეკემბერი,
შემოდგომის მზეს
დასავლეთით
მიეზიდება.

1957

არარატთან

ჰა, არარატი,
                    წვიმდა... უცებ გამოიდარა
და მზემ სხივების ოქრო მომფინა.
შორით გამოჩნდა ფრთათა რხევა
                    უსათნოესი
და მეჩვენება: ბიბლიიდან
                    ჩემსკენ მოფრინავს
                    მტრედი
                    ნოესი.

1969

ეჰა, მამულო!

ახლაც ჩაგესმის შორეული ხმები
ნაღარის,
ეჰა, მამულო!
მტრის თვალებში ეგდე
ბეწვივით.
აღმოსავლეთით
დაგტიროდნენ „მთანი
მაღალნი“,
ხოლო დასავლით თმაგაწეწილი
იდგა შავი ზღვა, ვითარც შენი
ჭირისუფალი.

1972

* * *

სიცოცხლის ტოტზე ზის და გალობს
პატარა ჩიტი;
რა შორით მოჩანს
ახლო მყოფი ნაპირი მწუხრის –
მდინარი დილის
და ღამის შუა.
მივსდევ აღმართებს ისევ მგლის მუხლით
ხედავ?
გალობამ მეც ჩიტივით
შორს გამიტყუა.

1962

აკაცია

საავდრო ღრუბლებს,
როგორც ყვავ-ყორნებს,
მიერეკება ქარი დასავლით.
დირიჟორივით ცასაც შავი ფრაკი
აცვია.
ომიდან შვილის მომლოდინე
ბერდედასავით,
გათეთრებული, ჩემს ჭიშკართან დგას
აკაცია.

1959

* * *

ზაფხულ და ზამთარ ჭამს ჩვენს
სიცოცხლეს,
მიწამ მუცელი მაინც ვეღარ ამოიყორა.
წელზე არტყია მას სიკვდილის
თეთრი ქამარი.
ჩვენ კი მოკვდავნი,
ვით ხარები
ნიშა,
ნიკორა,
მარადჟამსყოფნის
იმედს ვლოკავთ,
როგორც ქავმარილს.

1974

* * *

აღმოსავლეთით, –
ქართლის მთებიდან,
მოდგა ზამთარი თეთრი ღიმილით
და თავს იწონებს –
უთეთრესი გარეშემოთი.
დაგმანულია კარ-ფანჯრები ჩემი ოთახის,
შენზე ფიქრი კი
ფეხაკრეფით
მაინც შემოდის.

მოხუცის სიბრძნე

– მიწას ჭამს ბავშვი, –
დედაჩემი იტყოდა ბრაზით,
საწყალი ბებო
დასტურის ნიშნად
თავს დაუქნევდა
და სიტყვაში ელავდა
ხვითო:
–არა უშავს რა,
ბავშვმა ჭამოს მიწაც და
ქვიშაც,
სანამ ისინი შეჭამენ თვითონ.
.....
მოხუცის სიბრძნე გავიგე გვიან,

1968

* * *

დღე ცეცხლის ხარებს
მზის გუთანზე
ისევ შეუბამს
და ცის ვეება მინდორს გადახნავს.
მოვა ღამე, და
მოხუცი მთვარე,
ვარსკვლავთა მარცვალს
დაუწყებს თესვას,
მერე დილამდე
ოქროს თავთუხს გააქვს
შრიალი.

1969

გთხოვ, მაპატიო

მეძახის დანტე
                  და ჯოჯოხეთი
და დაკარგული კივის სამოთხე,
შენ სიზმარივით ფეხაკრეფით
ჩემთან მოხვედი
და მინდა, შენზე სიმღერებით
                  სული ამომხდეს.
გთხოვ, მაპატიო, თუ რაიმე
                  ცოდვა დავუშვი
შენზე ფიქრებში,
                  შენს ღიმილში,
                  შენს სიყვარულში.

1962

შენ ასე იტყვი

ხან მხიარული, ხან მოწყენილი
            თვალებში ედგა საქართველოს
            ცა და ამინდი,
იყო ბავშვივით გულუბრყვილო
და მიამიტი
და მწუხარებად
ჩიტის მკვდარი მართვეც ჰყოფნიდა,
            აღტაცებად კი
            სიხარულის წვეთი ჰყოფნიდა.
შენ ასე იტყვი,
როცა წავალ მე ამ სოფლიდან.

1966

მოვა საღამო

მოვლენ ქარები ხელის კანკალით
                  და შემოდგომის
                  ფოთლებს გაკრეფენ,
და გაავებულს
                  ჰგვანან ყაჩაღებს.
დღე სისხლგამშრალი გადაივლის
                  მთებს ფეხაკრეფით,
მოვა საღამო...
                  და ვარსკვლავებს
                  კვლავ გააჩაღებს.

1968

ეჰ, ისტორია...

ისტორიებში
ახლაც ომის ცეცხლი ანთია,
იწვის ელადა,
იწვის რომი
და ბიზანტია.
ისმის ყიჟინა,
ისმის მოთქმა
და თავგანწირვა...
ეს! ისტორიამ,
ზოგჯერ რიგით,
ზოგჯერ ურიგოდ,
ჩემს ქართველ ხალხსაც ჯიხვის ყანწივით
სისხლით და ცრემლით
სავსე ჯამები,
ვაჰმე! რამდენჯერ ჩამოურიგა...

1965

ფიქრი დედაზე

შორს,
        სადღაც, სოფელს
                ყეფენ ძაღლები, –
ურმის ჭრიალით და კოლხური
                თუთარჩელათი,
            დავყურებ თბილისს...
და ვითარცა სავსე ჭინჭილა,
დედაზე ფიქრი ხელში მიჭირავს
და მე მგონია
            გავინძრევი და...
                დამეღვრება.

1984

ფლები, ფლები...

ჩამოველ ქალაქს...
ანკესით ხელში
ხობისწყლის პირას მივატოვე
ბავშვობა ჩემი.
დიდი ხნის მერე...
როს დავბრუნდი
შიშით და ეჭვით,
ვიხილე:
მოკლეშარვლიანი და ფეხშიშველი
კვლავ იქ იდგა და თევზაობდა
პატარა ბიჭი.

1967

* * *

ეს მე ვარ, ზღვაო, შენი ხატება,
ძლევამოსილი, შენი სწორფერი;
ყველა ქარიშხალს, ყველა გრიგალს
აღემატება
პოეტის სული სიმყუდროვის
უარმყოფელი.
ეს მე ვარ, ზღვაო, შენი მოდელი,
ცა მაფენს კდემით ნისლის ბადეებს,
მერე დღეები ბავშვებივით უკან მომდევენ
და საუკუნის მძიმე ხელებს
მხრებზე მადებენ.
შენში დავმარხე ყველა ხატი და სალოცავი,
როდესაც წიგნში ტალღამ
თვალი კვლავ გაახილა.
მიწაზე ვდგავარ, ზღვაო, შენი
ძეგლი ცოცხალი
და მომავალი გრიგალების მესმის
ძახილი.

1968

წიწამურთან

მწუხრი მწუხარე ზარების რეკვით
ვითარცა გზირი
ჩამოდგა სოფლად
და გაილურსა, –
გზას მიაპყრო თვალები
სველი,
მერე, როდესაც წიწამურთან იქუხა
თოფმა,
შეკრთა...
და გულზე საქართველომ
იტაცა ხელი.

1964

* * *

დასავლეთის ცამ ჭიქა წყალივით
ბოლომდე შესვა მზე
და მზის სხივი
და მოულოდნელ მეხის ძახილზე
უეცრად წასკდა წვიმა
სისხლივით.
ლურჯი ტალღები
მწუხრისფერმა ღელვამ შებურა
და თოლიების
უდარდელი შეწყდა ფლეიტა.
ზღვა, ქარის რაშზე ამხედრებული,
ნაპირს მოადგა...
მერე უცებ ჩამოქვეითდა.

1961

მთებს გოლიათებს

როცა შეწყვეტენ მნათობები
უხმო ხეტებას,
როცა წვეთ-წვეთად
ღამის ქვაბში
დილა გროვდება
და სიჩუმეში როცა ინათებს,
მაშინ მე ვხედავ:
ჩემს სამშობლოს –
მთებს
გოლიათებს
მხრებზე თანდათან ზეცა როგორ
უვიწროვდებათ.

1969

ენკენისთვე

სოფლის გზა-შარას სივიწროვის
                  და გუბეების
                  წყლული ვერ იქნა,
ვეღარ მოურჩა,
თუმც ჩალისფერი თვეა ენკენის.
და ჩემს მშობლიურ ეზოს
                  მოუჩანს
სართა მეჩხერი კბილები და
ღობის ნეკნები.

1964

რომანსერო

ჩემს აღტაცებებს მზის წერტილი
თუ არ დაესვა,
სულის ტოტიდან
თუ არ მომკვეთს გული სავსავს
შურის და მტრობის ბასრი მახვილი
და თუ დღეებმა დავიწყებად
აღარ გამრიყეს,
მაშინ მოვალ და...
მწუხრში ცისკრად
გაგეძრახები,
ვითარც იდუმალ არსთა გამრიგეს.

1962

ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ

ტაძრებს აგებდნენ... მტერს ებრძოდნენ...
მიწას ბარავდნენ...
ეს მღვრიე მტკვარი
მათი ოფლია
წარსულიდან რომ მოედინება.
და მაინც რაა
ქართლის წარსული?
– თორ-აბჯარია, ყიჟინაა,
კაჟის თოფია,
ხმალ-ხანჯალია პირგაბასრული.

1961

სვეტიცხოველი

კოცონივით ჩაიფერფლნენ
საუკუნენი,
მეფეების და გმირთა მორჩილნი,
სიცოცხლის ყანას,
ჟამის გარდა, სხვა ვინ მომკიდა!
და მიხაარია
არსაკიძის მკლავი
მოჭრილი,
ავგაროზივით წარსულმა რომ
მე ჩამომკიდა.

ჟამთა სასწორი

ბებერ ჟამს უნდა,
        რომ მომხიბლოს გაზაფხულებით,
ნეტავ რაღად სურს,
ისეც ვეტრფი მე – უსახელო,
დღე და ღამე ხომ პინებია ჟამთა
სასწორის
                  და ამ პინებით –
                  ჩემს სიცოცხლეს,
სიკვდილს აწონის.
ვარდისფერებში გაუხსნია დილას საყელო
                  და სასაფლაო
                  ყვავილებით
კვლავ თავს მაწონებს.

1966

არაგვი

მთებში დგაფუნობს,
ხალიანი უთრთის სხეული,
გაქცევა ასე გაუძნელდა
და გაუჭირდა,
და მთებს არაგვი კალმახივით
ჰყავთ მომწყვდეული,
მაგრამ...
მცხეთასთან გაუსხლტებათ უცებ
მუჭიდან.

1964

* * *

შემოეხიზნენ საომარ ველს
ყაყაჩოები,
მახათას მთიდან
მამალივით ყივის აისი,
ჩაივლის მტკვარი –
გარდასული ამბის მთხრობელი...
და მარადიულ ცეცხლთან
ისევ,
ღამე კრწანისის
ზის... და შეჰყურებს ამაყად მდგარ
გმირთა ობელისკს.

1964

შენზე ვღაღადებ

მაღალი იყავ,
განთიადის გწვავდა ლოდინი,
ნათელი იყავ, აღარ გახსოვს როდის
დაღამდა,
როდის დაკეცა ბროლის ფრთები
სურვილის წერომ.
აწ ვგოდებ შენთვის,
შენზე ვღაღადებ,
ჩამოქცეულო ოცნების ჭერო.

1961

ჩემი დღეები

ჩემი დღეები ქვიშას ჰგავდა, ოქრორეული,
                  და მე
განგების ნებით მებარა,
                  სულ ხელს ვუჭერდი,
მაგრამ მაინც,
                  ჩუმი შრიალით,
ქვიშასავით თითებს შუა გამეპარა.

1977

* * *

სახედამწვარი ბედუინივით
მზე ყველგან იყო
ცის უდაბნოში
და ოქროს ფეხი ყველგან დაადგა
და როს დაღამდა,
ცად აკაშკაშდნენ
მზის ნაფეხურები – ვარსკვლავები.

1964

გაზაფხული

ღამის ბილიკით გაზაფხული მიეხეტება,
ცა ბრაზობს,
ელვა შიშით კანკალებს,
ტყე ფრთას ისწორებს უამრავი
ხმით დაყურსული.
ციცქნა ნიავი
გაზაფხულის
მწვანე ნაკვალევს,
ვითარც მწევარი, მისდევს სუნსულით.

1964

ვარსკვლავების ბაღი

ცისკენ მზირალი
და გამხდარი დიდგულა ღელე
ტყის სიჩუმეში
მიქვითინებს –
არყოფნის ზღაპარს,
და სველი ხელით შეღამების
კარებს კვლავ აღებს.
ხის კენწეროზე
უდარდელად ისევ თვლემს ყვავი,
ხოლო შორს, სადღაც
ვარსკვლავების დიადი ბაღი
ვარდისფრად ისევ
ჰყვავის და ჰყვავის...

1979

* * *

მიწყნარდა ლოცვა...
შეღამების ბრწყინავს ტაძარი
და მიიკმევა რწმენის
ღრუბელი
ცისკენ,
მიწისგან დაუფარავი,
მე, სიყვარულის შიშით მოცული,
როგორც არასდროს,
როგორც არავინ,
ხარ თუ არა ხარ,
ღმერთო –
მაინც შენზე
ვლოცულობ.

1972

* * *

დამტოვე...
ცრემლის ბილიკს მიჰყვები,
ვითარცა მნათი ბნელით მოსილი
დაკარგულ კოცნას
ულურჯესი უტირის ბაგე.
ზღვას მოუდრიკავს ცისარტყელა
ორფეოსივით
და აწკრიალებს განშორების
მწუხარე ჰანგებს.

1979

ვინ არის იგი

ცის იდუმალი სიმყუდროვიდან
ზარებს რომ რეკავს
ღამით მნათობთა
რათა ლამაზად მოგვაჩვენოს
წუთისოფელი,
და ყოველ დილით ნათელს რომ ჰფენს
ჩვენს საუფლოში,
ვინ არის იგი,
შორეული...
და ახლობელი?

1972

* * *

ჩანგი მიბოძე
                  და მიბრძანე, რომ მეგალობა...
და ვგალობ...
                  ვგალობ..
                  ცისარტყელის მეწვის თითები.
გაქრა წარსული დასეტყვილი და დამეხილი,
და აი, ახლა, უხილავო!
                  შენ გეკითხები,
ხომ არ დადგა დრო, შევისვენო, და...
                  შენ გიხილო.

1984

* * *

შორეთის ფსკერზე
მოციმციმე ნათელს
ვუჭვრეტდი,
ფერებვში მხოლოდ მე მიყვარდა
ჩემი ქართული
ლაჟვარდი,
ცას რომ შეაბოლეს ლურჯმა იებმა.
და... ანთებული წმინდა სანთურით,
დაფნას ჩემსავით აქ,
არავინ
არ ეძიებდა.

1970

დავით გარეჯა

როდესაც წარსულში გულგრილად
ჩავივლი,
დღისით თუ მთვარიან დამეთი
აქ, –
დავიწყებული წინაპრის ყორდანი,
ვითარც ბიბლიურ ნოეს
კამეჩი,
დრო-ჟამის წარღვნიდან მომდევს და
მომბღავის.

1987

ერთი ვარსკვლავი

ღამის ტაძარში როცა შეწყდება
ვარსკვლავების
და მთვარის გალობა,
მაშინ ლამაზი,
ვითრცა ჩემი
შორი მიზანი,
ერთი ვარსკვლავი გაიელვებს
და, ვით წყალობას,
ერთ პეშვ სინათელს გამომიგზავნის.

1977

მამის გახსენება

სხვენზე დევს მამის თოხი და წალდი,
მოხუცი დედა საკერავს კერავს,
მუხის ღადარზე შიშხინებს მწვადი,
მამა არ უზის მშობლიურ კერას,
ფიქრობს დედა...
და ფიქრებს ჰგავს კვამლი,
ეზოში ფოთლებს ქარები ჰგვიან,
არ უყივლიათ მეორედ მამლებს,
მამა კი უფორ მოსულა გვიან.
გზას ფეხაკრეფით მიჰყვება ღამე
წელს მდევარივით მიჰყვება წელი
და ზოგჯერ დედას სიკვდილი მამის
ავიწყდება და... დილამდე ელის...

1966

* * *

მიბოძე ახლა,
თუკი რამეს გამოიმეტებ,
(მე არ მიტაცებს ბედი რემბოს
                  და არც იბსენის).
რა თავში ვიხლი მერე დიდებას,
როცა ჩემი დღე
            ღამის ტოტზე
                  ჩამოისვენებს,
ფრთებს რომ დაკეცავს და
                  გარინდდება.

1968

სოფლის კაცები

ტყის სიახლოვე „ოდოიას“ აგუგუნებენ
და გლეხკაცები
რიჟრაჟსა და
სიმინდს მარგლავენ...
უბრუნდებიან გვიან კერას...
და საღამოთი –
მათი სახლების საკვამურიდან –
ცეცხლის ყივილით
თმაქოჩორა კვამლი ამოდის...

1961

ღამე არმაზში

დუმს არმაზი და სვეტიცხოველი...
აქ პომპეუსის
ზარმა დარეკა
და მცხეთის კარში შემოიხედა.
მტკვრის პირას ვდგავარ,
როგორც მარეკი,
ირგვლივ წარსული ყრია ციხეთა.
მთვარე კი როგორც მოსამსახურე
ან მარტოსული,
ანუ მიჯნური –
შუბლშეჭმუხვნილი ცივად
დამყურებს –
ამ წუთისოფლის ცას გამიჯნული.
შეატორტმანა მთელი მაშრიყი
სიმყუდროვეში მდგარმა მეხტეხამ.
და ღამე მოჰგავს უცებ დაშლილ ტივს
და გადახიდულს სადღაც მეტეხთან.

1962

* * *

როცა უეცრად მოიწყენენ ღრუბლები,
                  როცა ცა
წვიმას გულში გაივლებს,
მაშინ კლდეებზე ზღვა ტორებს ლესავს,
                  და სიბნელეში ისმის:
                  ცის და ქარის ბღავილი
და ისმის შიში...
და ტიტველი ტალღების კვნესა.

1967

* * *

წარსულის ტრამალს
                    შენი ეტლი
გადმოაქროლე
და სიყვარულით ისევ მოგვხედე –
ეჰე, ჰელიოს!
                    ძლიერნი ვართ,
                    განა უძლურნი.
ოქროს საწმისით პონტოს პირას
                    კვლავ დგას
                    კოლხეთი –
თქმულებებით და ლეგენდებით
ჩამოხუნძლული.

1966

ჩემი სიცოცხლის შეთვალულ მტევანს

სიკვდილ-სიცოცხლე – მძლე ყევარი –
ჩელა და ლომა
მძიმედ მიათრევს
წუთისოფელს...
და რო თქვ კაცმა,
ჩემი სიცოცხლე შეთვალულ მტევანს
თეთრი დღეები
ასხია ბლომად...
მაგრამ...
დრო კენკავს სულ მარცვალ-მარცვალ...

1964

ნარიყალა

წლები გუნდ-გუნდად
შორს გაფრენილან
და ნარიყალა მოჰგავს
მერცხლის დანგრეულ ბუდეს.
წარსული კვლავ ზის ნანგრევებში
და ომებს გმინავს...
საქართველოს კი ბრძენი თავი
გულმშვიდად უდევს
მამადავითის თბილ კალთაში და...
ტკბილად სძინავს.

1967

* * *

ამოუღამდა თვალები ლოდინს
                  და უშენობას
                  წუხს არემარე,
მოდი,
ო, მოდი
იასამნის თეთრი ფეხებით.
                  მხოლოდ,
                  სევდიან მოგონებებს
სულში მთვლემარეს
                  გთხოვ, გევედრები,
                  ნუ შეეხები.

1971

* * *

სიჩუმეს მძევლად დავუტოვე ოდა
ფიცრული,
საგზლად ვიკმარე თაგორი და
ბრძენი ოვიდი.
და შენთან, როგორც ძმადშეფიცული,
ზღვაო, მოვედი,
შენზე ძლიერს ვის ვიპოვიდი.
მზისებრ დავყურებ მაღალ
მიზნიდან,
ვკოცნი შენს ტალღებს,
ვით მშობლიურ მიწა-აყალოს,
შენც მიწასავით გულში მიკრავ,
შენსკენ მიზიდავ,
უსაზღვროება და სიცოცხლე
რომ შემაყვარო.

1965

კოლხეთი

მანდარინის და ფორთოხლის შუქი
შუქი ჩამდგარა
ლურჯად გარდაცვლილ
ჭაობების ღია თვალებში
და წუხს წარსულში მალარია,
კოღო,
ციება.
მადლობა უფალს! გვიან, მაგრამ
მაინც მოგვხედა.
მამულზე დარდით
გათეთრებულ აკაციებით –
გათენებულა ჩემი კოლხეთი.

1958

* * *

ღამის ჭიშკართან,
აყეფებულ შარაზე სოფლის,
სარკის პატარა ნატეხივით აგდია გუბე,
შიგ ფეხშიშველი გოგო-ბიჭის
თამაშობს ღიმი –
როცა იელვებს,
როცა მეხი გასძახებს
ღრუბლებს
ზაფხულის მოსვლას
ზარებით...
წვიმის.

1972

* * *

სიცოცხლის მწვანე ბილიკს მივყვები
მოწყენილი და ფეხშიშველი
ვაჟას ქუჩივით,
და ნაღვლიანად შეღამებას
სტვენენ შაშვები.
მე კი დროდადრო ჩემს მშვენიერ
ბედს თუ ვუჩივი,
მისი ბარალია,
რად მემალვის,
ასე რატომ მეთამეშება.

1968

1941 წელი

ასჯერ ვახსენე,
ასჯერ დავთვალე,
ვინც წავიდა და ველარ დაბრუნდა,
და ოცდაათი წელი გავიდა...
ვინც დამავიწყდა –
მათი ხსოვნა კვლავ მითვალთვალებს
ცივი სანგრიდან
და წარსულის ჭუჭრუტანიდან.

1971

* * *

ღამეა, ისევ ზღვასთან გახსენე,
                  და მთვარის შუქზე
                  ნაზად გავხსენი
მოგონებებით სავსე ლუსკუმა:
შენი სხეული ზღვად აბრწყინდა,
                  როგორც ტიარა,
და სული წამით მას ეზიარა,
მერე ყოველი
                  დავიწყების შთანთქა
                  უფსკრულმა.

1957

ისტორია

მოხუცი მთვარე და ვარსკვლავები
მიწის ძმაა
და მიწის ტოლია,
მიტომ ხელგაშლით ეგებება, მზეო,
ცა სტუმარს...
მაღალ თარიღთა
უღრან ტყეში
წევს ისტორია,
მკვდარი ომები უდევს სასთუმლად.

1968

რუხის ციხესთან

მომხდურთ თავები პანტავაშლივით
თურმე ცვიოდა
ციხიდან და აკროპოლიდან, –
ქვა დახვედრია აქ, როდესაც სეტყვა
მოვიდა.
მითრიდატეს თუ აიეტის
შტოზე ნამყენნი –
კოლხეთის წარსულს მილამპრებიან.
ჩვენ აქ მტვერი რომ
გავაღვიძეთ და ავაყენეთ,
მტვერი კი არა, მამულისთვის –
მტვრად ქცეული წინაპრებია.

1967

სამშობლოს მთები

ღამის ამღვრეულ ოკეანეში
კავკასიონის
ცისფერ დინებას
ეფარფატება ჩემი ლანდი,
ვითარცა ღალღა.
ჩემს ქართულ ცაზე
ბუმბერაზ მთებს შეუდგამთ მხრები
და ეწევიან მაღლა
სულ მაღლა...

1984

* * *

ფიქრები ღამით უფრო ღრმავდება,
კივის სიშორე: –
სიყვარულის
„შეიბ მახვილი!“
და დავიწყების შმაგ ქარებთან ქროლვას
მოეშვი.
გათენების ჟამს,
ვით სინათლის
შორი ძახილი,
შენ გამოკრთები ჩემს მოწყენილ
სიმარტოვეში.

1967

ჩემი რწმენა

სულ უმიზეზოდ და სულ უბრალოდ
ბევრჯერ სიმაღლე –
უქციეს სისქედ,
ქვამარილივით ჩემი რწმენა
ბევრჯერ დანაყეს
და მაინც მუდამ მიიწევს
ცისკენ –
ბუხრიდან ამოსულ კვამლივით
ამაყი.

1968

სულთათანათი

დაბოლოს, ჟამმა ერთად ჩაკრიფა
ღამის წყვდიადში:
ქსელის მბეჭველნი
და მტერთა ძვლებზე ხმლების მლესავი,
მათ ციხე-კოშკთა დაცამლეწველი.
ახლა დაღლილებს
შუბლშეკრული მთვარე დაჰნათით
და შორეული ხმები
ამშვიდებთ
ხსოვნის ტაძრიდან მოფრენილი
სუთათანათი.

1984

* * *

შენი სინათლის დგება უკუნი
და სიახლოვეს
კივის სიშორე.
მხრებზე გაყრია ვარსკვლავების დამე –
ქვიშორი
და ცისქვეთეში სილამაზეს სწუხარ
ნინველი,
ასე ჭკვიანი,
ასე კარგი,
და საკვირველი,
არსად არ იყავ,
ეს მე თვითონ გამოგიგონე.

1966

* * *

მზემ ჩაიმუხლა...
ნეფტუნივით ღელავს ვაუნჯებ,
ზღვის იალაღზე ქარიშხალი ვერძებს
მოდენის,
რომლებმაც შორი გზები
გათელეს
და მიუვალი ციხეები ლეწეს რიფების,
ბოლო ჩვენსავით,
მათი მძლავრი ხმათა
ნათელი
მარადისობის სიჩუმეში ჩაიკრიფება.

1967

მივიწყებული საყდარი

ცად არ წასულან,
    გალავანთან ყრია ლოცვები,
საკურთხეველთან
    მლოცველივით ჩურჩულებს
        ქარი.
სალიტანიოდ აღარ მოჰქრის
    მწუხრის
        კარეტა,
და ღვთის ცრემლივით
        ჰკიდია ზარი,
გადავიწყებულ საყდრის კარებთან.

1986

შენი დუმილი

იასამნების ლურჯი გალობა
მთვარეულ გზებით
მიედინება...
შენ შორს ხარ, მაგრამ
შენი დუმილი სიყვარულის
მაღალი ციდან
ჩემთან ჩამოდის
მნათობების
ფერმკრთალ ყიჟინად.

1967

* * *

მთები ქარიშხლის
ჭიშკრებს კეტავენ
და არ უშვებენ საბალახოდ
ღრუბლების ჯოგებს,
ხოლო ჩემს დღეებს
მიაქვთ ზღვების
ვეება ღელვა
გახეხილი აქვთ ხარივით ქედი.
უხარია და...
ვხედავ ისე ყასიდად მწყევლის
ჩემი კეთილი
და ღმერთივით მოწყალე ბედი.

1963

გლოვის მეუფე

ვარდ-ყვავილებით გადახურული
მცირე ბორცვები
სიჩუმეში დგანან ქოხივით.
უსინათლოებს, ღამის ფსკერზე
ნათელს მზე უფენს.
და ...ჟამს ცისკრისას,
მწუხარე და წელში მოხრილი
სასაფლაოზე დაბრძანდება გლოვის
მეუფე.

1961

* * *

იდუმალების შორეული
                    რეკენ ზარები
                    და მიღვიძებენ
მძინარ ჭრილობებს.
                    ფიქრები დღეებს
                    აზანზარებენ
და სივრცეებში ფრთებს შლიან და
                    კვლავ
ყვავილობენ.
მიხმობენ მთები:
                    წყურვილი გვკლავს
                    და ვიტანჯებით;
ტირიან ზღვები: ჩვენ კი ღელვა
                    გვახრჩობს რა რჯული...
შველა არ ძალმიძს,
        მე ვარსკვლავთა ოქროს ჯაჭვებით
საქართველოს ცას ვარ მიჯაჭვული.

1970

* * *

მოთმინების ცივ ურემზე შებმულს,
უბედობა,
წუხილი და ოხვრა,
ლომურ ქედზე უღელივით მედგა.
და დღეს, როგორც დაკარგულმა ძროხამ,
ჩემს კარებზეც მოაბღავლა
ბედმა.

1974

ლექსის კაცი

თავსასთუმალთან
ვეფხის წიგნი ესვენა ხატად,
ამბავი ამბავს მიჰყვებოდა
ცრემლთა
მთხეველი,
ნათელმა ბავშვმა იგრძნო გრძენულ
სტრიქონზე ჯვარცმა
და ლოცვად დადგა
ქართულ სიტყვას
საკურთხეველთან,
მერე ამაღლდა, –
იქცა ღმერთად...
და ლექსის კაცად.

1971

* * *

სიმყუდროვეში სძინავთ უფსკრულებს, –
ზღვის ამბორით და
ბნელით გალეშილთ,
და მწვერვალები რომ სჩანს შორიდან,
თითქოს ქათქათა აფრიანი
არის ანძები, –
შორს,
დავიწყების ოკეანეში
მშვიდად მიმავალ საუკუნეთა.

1969

* * *

ქარებს გადმოაქვთ წარსულიდან
ცივი ციაგით:
მეგრელი დედის
შეცხადება...
ცხენთა თქარუნი...
ბავშვის ტირილი...
შებულშეკრული მთვარე –
კეთილი...
ანძების რწევა...
თურქ-თათართა ხმები
ტიალი...
მიწის მკერდიდან თავაწყვეტილი
ლაშდაღრენილი ზღვა – ზვირთების
ჯაჭვის ზრიალი...

1970

* * *

სადღაც უჩემოდ მიდის შენი გზა
                  და დარდის ქოხის
                  ჭუჭრუტანიდან
ხელდაკრეფილი, მოწყენით ვუმზერ,
ცვივა დღეები მკვახე და მწიფე.
                  და ნაიარევ პატარა გულზე
მოგონებების მწვანე ფოთლებს
                  ვიფენ და ვიფენ.

1969

ხსოვნის სანთლებით

ჩემი კითარა დაობლდება
სამარადისოდ,
ქარებს გაყვება –
დღენი ჩემი, როგორც ტიარა,
წუთისოფელი, როს ამიკრავს
ნაბადს და გუდას
და დავიკარგე...
მაშინ ძმებო!
სხვაგან კი არა,
სხოვნის სანთლებით –
ჩემს თბილისში მეძებეთ მუდამ.

1979

* * *

ვეღარ დავლაშქრე ჩემი დღეები,
ვეღარ ავანთე
ოქროსფერი
ჩემი სანათი –
შენს დიდ ტაძარში,
წმიდა მამაო!
და ნათლისთმოსილს
შორეული
სულთათანათი,
ვინ მხმობს ამაოდ?!

1972

ვითარც სინათლე

მშობელის ლოცვით
                  და სიცოცხლის
                              ლურჯი გალობით,
ამ ქვეყანაზე
                  როდესაც ვიშვი,
მაშინ თვალებში,
                  როგორც სინათლე,
გარდაცვალების
                  გარდაუვლობის
შედედდა შიში.

1973

ენმერქარი

ვძერწე და...
თიხა გავაუკვდავე,
ყელზე დავკიდე მზეთა რგოლები
და ხეს ნათლისას
ჩამოვთალე
ღამის მერქანი.
ეს მე ვაქციე
„სიტყვა სოლებად“,
მე ვარ მზის შვილი –
ენმერქარი.

1976

დღიდან გაჩენის

გაჩენის დღიდან,
დღიდან გაჩენის,
ჩემი სიცოცხლის, ჩემი სიკვდილის,
                ადარ იქნა და
                არ წყდება დავა.
აქვთ – სიცოცხლე...
იქით – სიკვდილი...
                მე – შუაში ვდგავარ...

1964

* * *

„ჩემს სულს აწვიმს“... და
სულ ერთი წუთით
ვერლენი, –
ზღვათა წუხილის გაღმა,
ჩემსკენ მომავალ დღეთა გემებს
სევდით დატვირთავს...
და აი, ახლა, –
„სულს აწვიმს“ და... წარსულის ტალღა
ჩემს სიმარტოვეს ეფერება
ღამის ნაპირთან.

1968

ორი არაგვი

ზვავების მჯიღებს
უფსკრულები მკერდზე
იცემენ...
კოპალას ქვასთან,
სიბნელეში, უცებ იალებს
დევების ეშვი...
მძიმე ლახტი
და სატევარი...
და ჟამს თეთრი და შავი არაგვი
შეუბამს მთების უღელში და როგორც
ყევარი.
ლეგენდის ურემს
ბარისაკენ მიაჭრიალებს...

1967

შაშვის სიკვდილი

სიცოცხლის ბაღში
მიმწუხრამდე
მზე იგალობა
და სიმღერებით სავსე სული
როცა დაცალა,
სურომორეულ წიფელაზე ჩამოიძინა,
მაგრამ უეცრად ესმა ძილში
თოფის ძახილი,
შეკრთა...
თვალები ერთი წამით
კვლავ გაახილა,
რათა იმწამსვე დაეხუჭა სამარადისოდ.

1968

შუამთაში

ამოენთება ხსოვნის ზღვიდან
„ქართლის ცხოვრება“
ისმის ყიჟინა...
ჩახაჩუხი... წვიმა ისრების,
აჰა, მეც მოველ,
და ნაბიჯით ერთით მისწრებენ:
კოჭლი თემური,
ბუღა თურქი,
შაჰი-ნადირი.
და... დგას შუამთა ჩანჩქერით
დალალგაშლილი
და საქართველოს
შუბლგაჩეხილ წარსულს დასტირის.

1966

სემირამიდა

დრო არწივივით დასტრიალებს
მძინარ ბაბილონს
ევფრატის პირას
მკვდარ ბაღს სტირის სემირამიდა
და დუმს როდოსი,
დუმს სინოპი
და დუმს ქიოსი.
ხსოვნა კი ღელავს:
ნუთუ ჟამმა ვერ აარიდა
მათ სიკვდილი
და...
ბნელი თვალი საიქიოსი.

1964

მონღოლები

ჭიქა წყალივით შესვეს აზია,
მერე ცხელ-ცხელად
საქართველოს
გული მოუნდათ...
ფართო თვალებით როცა მტერი
ჩვენსკენ იძროდა,
წამოუფრინდათ ხოხობივით
მტკვრისპირ თბილისი.
– შეკრთნენ...
თვალები სწორედ მაშინ
დაუვიწროვდათ, –
უმზერდნენ
შურით...
სილამაზე არ აპატიეს,
მიკაფ-მოკაფეს საქართველოს ცა
და ვენახი,
მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს, –
ვერ ჩაატიეს.

1972

* * *

ჩალისფერი დროშა –
                    გორგასლიანი,
ელვის კრთომა – ხმალი
                    დავითფერული,
ჟამთა სკივრში ვეძებე და ვერ ვნახე,
მხოლოდ გვიან,
                    მე ფსალმუნში ვიცანი:
მზით გაფოთლილი „შენ ხარ ვენახი“,
                „გალობანი სინანულისანი“.

ღამე

ცის საშანდლეში ანთებს
ვარსკვლავებს,
ფერმკრთალი შუქით მოაქვს ფიქრი,
დარდი,
წადილი,
მოაქვს შიში და ვებერთელა ლანდი
მამონტის...
ქამარში ისევ გაურჭვია
მთვარე წალდივით
და, ვით მეტყველე,
უღრანიდან ღამე
გამოდის.

1963

ჩემი წითელი საპერანგეა

დარდს და სიხარულს ქარიშხალივით
გაჩენის დღიდან
მკერდზე მახლიდა.
ტალღისსიმება ზღვა მღელვარე
ჩემი ჩანგია.
მზე, რომ გადმოაქვს ქარს
ღრუბლების
მაღალ დახლიდან, –
ჩემი წითელი საპერანეა.

1963

სიჩუმე

გასცქერის მთვარე
ვარსკვლავებით გაცოხნილ
სივრცეს,
გაკრთება ელვა სულ ერთი ციდა, –
თითქოს მდინარე ზღვას იქვე ერთვის.
და სიჩუმეში
მოისმის ციდან:
ანგელოზების ფრთის რხევა და
ფეხის ხმა... –
ღმერთის.

1966

* * *

ზღვის ტაძარში, საღამოს თუ დილით,
ზვირთთა ლურჯი გალობები ისმის
და ლოცვად დგას სოხუმი
                  და გაგრა –
დიაოხთა მწვანე სამანებში.
ზღვა უნდოა,
                  გულში მიკრავს მაგრად,
ცალი ფეხი მიდგას სამარეში.

1964

* * *

ქართული სიტყვის ათასწლოვან
ტოტებზე მჯდარი
შენ გიგალობდი
„კაფე-თესეს“, თესდი თუ მკიდი
და ჩემი ფიქრი
შენი სულის
წუხილში ენთო,
დღეს ეს გალობა, მცირე თუ დიდი,
მიიღე ჩემგან
მსხვერპლშეწირვად, მამულო –
ღმერთო.

1965

საათი

სიმყუდროვეში მოჩანს დამის
                    თორმეტი ტოტი
                    და მთელი დამე
ტოტიდან ტოტზე
                    დახტის ჩიტი...
                    და მშიერი, ოქროს ნისკარტით
თეთრ ციფერბლატზე დაყრილ წუთებს
                    კენკავს
                    და კენკავს...

1972

* * *

ავაზასავით კლდეთა ქიმზე
წვება სიბნელე,
ცა აღარ აჩენს ლალს და დინარებს,
მწუხარე სახით იხედება მთვარე –
სნეული.
და ზღვასთან ელავს ციცქნა მდინარე,
ვით ტახის ეშვი,
მუხის ფესვზე გადამტვრეული.

1959

ღაჟო

მაშრიყში –
ცისკრის მოვანების დარეკა ზარმა,
და მზე წამოდგა სიჩუმეში,
ვითარცა მახვში
და ზე ასწია შავი ღამის დაბალი ჭერი.
ღაჟო ჩიტი კი...
გაღვიძებულ სიცოცხლის
ბაღში
სიცოცხლის ლამაზ,
უსასრულო
სიმღერას მღერის...

1958

ზღვები

მიწის ვეება ბუდეებში
კვლავ სხედან ზღვები
და ნიჟარები კვერცხებივით
უწყვიათ ფსკერზე
და მარგალიტებს
ჩეკენ...
და ჩეკენ...
გრიგალები კი ლომური ხმებით
მორბიან ჩემკენ.

1966

ჩემი გალობა

რამდენი ჩანგი გადაჰყვება
ქარებს გრიალით,
რამდენი სვეტი...
და რამდენი ყალმის ნახატი –
დაედევნება გარდასულ ჟამს
უცხო ფარფატით...
რადგან უფალმა ასე ინება,
რადგან გამჩენმა
ეს მიწყალობა.
„ოქროს საწმისად“ პონტოს პირას
წაისილება:
დაფნაზე უფრო უწყინარი
ჩემი გალობა.

1969

ხერთვისის ციხე

დაჭრილ მკერდიდან –
კვლავ გადმოჩქეფს
სურო და ხავსი,
ყურს უგდებს წარსულს...
და დახანებით
ესმის შორიდან ყაყანი და... ხეობებს
ავსებს
შავი ლანდები ლენგების და
მამადხანების.
ქრება მირაჟი...
და დგას ციხე ძვლებით
ნაგები,
არც ერისთავი,
არც ამაყი ათაბაგები...
მხოლოდ წიფლის ხე დგას ქონგურზე
ვით მეციხოვნე
და შუბლშეჭმუხვნილ წარსულს
გასცქერის.

1963

* * *

ბრძოლით დაღლილი და დაქანცული,
ხელს –
საუკუნის მაღალ მხრებზე
ჩამოვასვენებ
და დამადგება ოქროს ჩრდილი
ქალღმერთ ნიკესი,
ვით გამარჯვების
შორეული სვეტი
ნათელი.
მაგრამ ჯერ კიდევ,
მე ყველაზე უსასტიკესი.
ომი მაქვს ისევ გადასახდელი.

1976

* * *

თვლემამორეულ ნაკადულთან
                    გაქრნენ
ჩრდილები,
სამყაროს თავზე
                    არ ჩანს ღამის ნატისუსალი
                    და მოლოდინში დგანან ხეები.
და ჰა, ზამთარი
                    ჩამობრძანდა
                    როგორც ჰუსარი,
თეთრი მუნდირით,
                    ყინვის მბრწყინავ
                    სამხრეებით.

1967

ნაქალაქარი

მამულში თესდნენ წინაპრები
ციხე-ქალაქებს...
დიდი ხნის მერე აღმოცენდა
მშობელ მიწიდან
ნაციხარი და ნაქალაქარი...
ჩემი სამშობლო მხარე არის
სილამაზისა.
აწმყოც,
წარსულიც
ჩემთან, აქ არი;
ფაცხა მეგრული ისევ ისე მიდგას
ფაზისთან.

1986

დგას გორგასალი

ჩემს თბილისს ადგას დადაფნული
მთების
გვირგვინი...
არსით სულთანი,
არც ამირა,
და არც ვასალი.
გამქრალა მტერი და მაწყევარი.
აქ, ნადირობით გადაღლილი,
დგას გორგასალი
და მტკვარი ფერხთქვეშ გასწოლია,
როგორც მწევარი.

1964

* * *

ტალღებს გრიგალში უნდათ გაფრენა
და აკივლებლ ქორებს
ბაძავენ...
თვალებდათხრილი ნიჟარების
ისმის არია...
განისვენებენ ჩემი ზღვები?
აბა,
რას ბრძანებ!
პირიქით,
მუდამ შფოთში არიან...

1967

მამულო

ნათლით მოსილი,
ბროლის ფრთოსანი,
მშვილდმოზიდული შენ ხარ ამური,
გვტყორცნი სიყვარულს
და ვარსკვლავებს
ოქროს გირჩებად
და... შენი ტრფობა –
შიგ გულში მჭირს,
ჩემო მამულო!
არ ვიცი,
როგორ გადაგირჩები.

1971

* * *

მენარგისება ცა –
თუთარჩელა
და ჩემს სიშორეს წუხს ზესკნელი
და ვარსკვლავები.
ზღაპარში ყვინთავს შავი ზღვა და
ჩემი ოდიში.
„... დრო რა მოკლეა ქალის მკლავებზე
და რა გრძელია მის მოლოდინში“.

1962

ნათელს გალობენ

ჩემი სიცოცხლის ტოტებზე სხედან
    და სიხარულს და ნათელს
        გალობენ
ისინი,
    ვინც მე ეს ცხოვრება გამილამაზა:
ჩემი ზურაბი –
        ფერი ფოცხვერის,
და ჩემი დაჩი –
        შავი ავაზა.

1979

* * *

საწუთროს გზაზე საუკუნენი,
შენს სულს უღმერთოდ სვამდნენ,
ზვაობდნენ,
ცრემლი და ოხვრა,
ქრისტე და ჯვარცმა,
შენ აღარც ერთი არ დაგკლებია...
და აი ახლა,
რომ იფიქროს ქართველმა კაცმა,
ამაზე ფიქრიც დამთრგუნველი
და ამკლებია.

1982

ჩემი ღრუბლები

ზღვა ქარიშხლით და მზით
მოქსოვილი
რომ არ მიყვარდეს,
არ მაქვს უფლება,
რადგან ტალღები მხრებზე ძლიერ
ტორებს მადებენ.
დასავლეთისკენ მიფრინავენ
ჩემი ღრუბლები,
შავი ზღვის ტალღებს რომ გაანდონ
გულისნადები.

1966

ხუროთმოძღვარი

...და აღაშენა ციხე მტერთა
მიუდგომელი,
საუკუნეთა ხოტბით და ქებით
და შემწეობით თვითონ მოწყალის.
დაშლილი ციხის გალავნთან
დაყრილი ქვები
ძვლები მგონია
უსახელო ხუროთმოძღვარის.

1968

აღმოსავლეთით

ღამის ნაპირთან, –
ზღვად ჩასული
მზისთვის ლოდინი,
სიშორის ტოტზე – ცა მოყვავილე,
და ჟამს ცისკრისას – შორეული,
ვითა ლეგენდა –
მამლის ყივილი,
ძროხის ბღავილი
აღმოსავლეთით დილად შედედდა.

1965

* * *

ზღვისკარად ლოცვად დგანან პალმები
და იმათ დახრილ ჩრდილების
მერდინს
ეალერსება ყვავილი კუსმის.
ადის და ჩადის მძინარე ზღვის
ვეება მკერდი,
ქარი კი ჩუმად,
დემონივით საკინძეს უხსნის.

1968

ჩემს აივანთან

ჩემს აივანთან
ჩიტი უსტვენს განმარტოების,
და ხსოვნის ქვაზე
კლანჭებს ილესავს,
რომ კოლხთა წარსულს
ჩასჭიდოს უფრო.
სევდით მოცული
მიდის ღამე ბედუინივით
და ცის ვეება უდაბნოში
ვარსკვლავებს თესავს.

1961

* * *

საღამოვდება...
ჭრიალებს მზის
ყვითელი ანძა,
ნარბენ ბავშვივით
ქარს გზადაგზა ეჭრება მუხლი.
იწყებენ წრიალს
ვარსკვლავები –
მთავრის ობლები.
და ჩემს სოფელში შემოდის მწუხრი, –
მაფშალიების
და შაშვებს საგალობლებით...

1963

ყოველ საღამოს

მდუმარე ბორცვებს მოსდებია
წლები ბალახად,
ქაოსს და უკუნს შეუსვენებლივ
ისევ მიარღვევს დღეთა
მარულა,
და ჭრიალებენ ასწლეულთა
მძიმე კარები.
ყოველ საღამოს სასაფლაოს
უმზერს მალულად
დღე ფერმკრთალი და
სიკვდილნარევი.

1985

გითვალთვალებენ

ძმის ხსოვნას.

წახველ...
        სიცოცხლე დავიწყების
                ნისლმა დაბურა...
შენ პატარა ხარ,
და წვყდიადის გზას ვერ მიიკვლევ,
მიტომ გაქვს ცრემლით სავსე თვალები.
და მეჩვენება:
                ვარსკვლავების
                        ჭუჭრუტანიდან
ანგელოზები გითვალთვალებენ...

1964

ვით აქილევსის ვეება ფარი

ფრთებს რომ გაშლიან ცაში აფრები,
ზღვას ჟინი უვლის
ქარში გაფრენის.
ღელვის ტაძარში,
ვით მეგობარს მაშინ შევუვლი,
როცა წუხს ნათელს პირმშვენიერი,
მედეასავით –
ღამე გრძნეული.
ვით აქილევსის ვეება ფარი,
კოლხეთის ცაზე ჰკიდია მთვარე.

1968

ირხევა ფიქრი

ტალღებს აღვიძებს აფრის შრიალი
და ზღვა ასაფრენ ყანჩასავით
ისევ წრიალებს...
და ვით მარცვალი ღვარძლის და
იფქლის,
სიბნელე ფრთებით დააქვთ ღამურებს.
დუმილის მძიმე ფეხისხმაზე
ირხევა
ფიქრი,
ვითარც ლერწამი, სასალამურე.

1967

მოვლენ მერცხლები

მფრთხალი ზამთარი
ღობე-ღობე მიიპარება
და გაზაფხული მისდევს
ყიჟინით.
ჩემი მამულის შუბლმაღალი ცა
ივერცხლება.
მზე სხივებს აფენს
იმათ ფაცხებს,
დაწნულს სიმღერით,
და ჰა, საცაა მოვლენ მერცხლები.

1960

რწმენის ცა

ჩემს მებრძოლ დღეებს,
ვით დაცემულ
გმირ
ჯარისკაცებს,
მე აღვუმართავ ერთგულების
მაღალ ობელისკს
და მარადიულ ნათელს ვპირდები...
რადგან რწმენის ცა, ჩაუქრობელი
იმედებით და ვარსკვლავებით
კვლავ იკვირტება.

1986

ქარი

მოგლიჯა ხე და მხარზე გაიდო,
თავის სიშმაგე
ვეღარ დაფარა,
დარეკა ჟამი ცის დამწუხრების...
და გარბის სადღაც
ლომის ფაფარით,
ვეფხვის ნახტომით
და მგლის მუხლებით.

1974

* * *

აჰა, ოცნება
ცისკარივით ისევ ამაღლდა,
რადგან მიწაზე,
უცებ შესცივდა;
ლაჟვარდ სიმაღლის სიყვარულში
მოდი, დამინდე.
და შუბლშეჭმუხვნილ
წყნარი ზეციდან
ჩემი ჩამქრალი ვარსკვლავები
ერთად ამინთე.

1981

სოფელში

შიშს და სიბნელეს
ყეფენ ძაღლები,
და უამური
წვიმით მოზელილ
მეზობლის შუკას –
ყელს გარჩენია
ჩემი მოზვერი, ვითარცა ლუკმა.

1959

გადაფრენა

დაუოკებელ გზათა სიშორეს
და გადარჩენის უმძაფრეს
წყურვილს
ველურ ყივილით კვლავ ემსხვერპლება
ფრთამოქათქათე გუნდი
ბატების...
მათი სულები სამშობლოში
მოვლენ პეპლებად.
ყოველ გაზაფხულს და...
მინდვრებზე
იფარფატებენ.

1974

* * *

არც ოქრო,
        არც ვერცხლი,
                არც ფული,
არ გშველის...
        შურში ხარ ჩაფლული...
და აღმოგაჩინონ, ვით ტროა,
დროა,
        პოეტო, დროა!

1988

* * *

ტოტიდან ტოტზე ჩამოხტის წვიმა,
ფანჯრის სარკმელს კი მიჰკვრია ბავშვი
და მიუჭეჭყავს ცხვირი
და სახე.
ფიქრობს:
ცა როცა გადუჭერს სახრეს,
ატირდებიან ღრუბლები მაშინ?..

1972

* * *

გმირთა სამეფო და საბრძანისი –
აჰა, დიდგორი,
აჰა, კრწანისი! –
ყოფნა-არყოფნა,
აქ იწყება ჩემი მამული,
წუხილი...
ოხვრა...
და სინანული...
ღირდა სიკვდილი ლამაზ წამისთვის:
„ძლევა“ – დიდგორი...
„რბევა“ – კრწანისი.

1981

* * *

ცის პაპირუსზე მთელი ღამე
დილას წერს ღმერთი,
მერე შლის და შლის საშლელით
ღრუბლის
ვარსკვლავებით დაწერილ წერილს,
მოსწონს,
არ მოსწონს.
ირიჟრიჟა –
გაეხსნა შუბლი
და გაკრთა ელვა –
მოაწერა უფალმა ხელი.

1979

* * *

ჩემმა გამჩენმა
ჩემი სამშობლოს
ცის სილამაზე –
თავს დამარისხა.
და ვიცი, ახლა
თვით უფალიც ვეღარ მიშველის,
რადგან დღედაღამ ფიქრის კარზე მესმის
კაკუნი.
მაცხოვარივით –
ტიტველ-შიშველი –
ვარ პოეზიის ჯვარზე გაკრული.

1980

* * *

ჩემს ქართულ სიტყვას ვაელვარებ ხელში
ხმალივით,
თვით სირინოზებს დაატყვევებს ხმა –
ჯადოსნური.
და საქართველოს მზეს და მზის კერას,
ქუდს მოვუხდი და
ვივლი უქუდოდ,
სანამ სიკვდილი ამომიკერავს
მარადიული ძილის ძაფით
თვალთა
ქუთუთოს.

1987

ამირანი

მზის სიყვარული სწვავდა რა რჯული,
მრისხანე ღმერთთან
რარიგ იომა...
წამების მაღალ კლდეს მიჯაჭვული
ნათელი
ბნელმა ვეღარ დანისლა.
თეთრი გვირგვინით
დაზვინული
კავკასიონი –
საფლავი არის ამირანისა.

1982

ქაშუეთი

ხატებთან ლოცვად დგანან სანთლები,
მწუხარე სახით გადმოგცქერის
ღმერთი კეთილი
და მოდის ღამე – ჩვენი სიცოცხლის,
ჩვენი აქ ყოფნის დღის ნახევარი,
და ღვთის წინაშე მუხლმოდრეკილი
ჩურჩულებს
მწუხრის საგალობელს,
ვითარც მხევალი.

1969

* * *

ჩამქრალ კერასთან მოხუცი იწვა,
წინ ედგა მუხის სამფეხა სკამი,
დაბადებიდან ეძახდა მიწა
მოხუცს...
და უცებ შემკრალი ღამე
უცხოს...
გზის მისკენ მოასწავლებდა,
ეძინა სოფელს, უზომოდ დაღლილს
და ჭასთან ავისმომასწავებლად
ცრემლნარევი ხმით ყმუოდა ძაღლი.

1963

* * *

ღამენათევი – მზე, ცის ტოტზე
ჭანგით ჰკიდია,
და ნარიყალა –
ჩამომჯდარი წარსულის ლოდზე –
ბებერ ძვლებს ითბობს,
ვითარცა ქვაზი.
და იქვე მტკვრიდან ამოსულ კლდეს
სავსე თუნგივით –
მეტეხის ციხეს შეუდგამს მხარზე.

1965

დღე და ღამის ფანტაზია

დასაბამიდან ასეა:

გარეთ ცივა

თუ თბილა,

მზეს ჩაისუნთქავს საღამო,

ამოისუნთქავს დილა.

1965

* * *

უყივის მოძმეს, –
თავის თვისტომს –
ჩამორჩენილი,
დაღლილი წერო, და მივალალებს.
ფერმკრთალი ღამე
უსმენს ფრთების
მსუბუქ კლავესინს,
ზღვა კი პირს იხოკს...
იწეწს დალალებს,
მოულოდნელად მომწყვდეული ქარის
მკლავებში.

1967

ბალახი

ვერ გამოვიხმე სიმყუდროვიდან
ის უხილავი,
უძლეავი ძალა,
რომელიც ყოფნას არყოფნად ქმნის.
ვითარცა ქმნიდა.
და... წელში მოხრილ პატარა ბალახს,
ვნახე, მკვდრის სული
ვით გამოჰყავს
საფლავის ქვიდან.

1968

ია

შემოეპარათ ბაღებს სიმწვანე
და დათაფლული
სტვენა
შაშვების.
ძარღვებში სისხლი ნაკადულებს
კვლავ აუჩქეფდათ.
და... გაზაფხული გაუშლია,
ვით დედა-ენა,
აპრილს და... ამბობს
იას ბუჩქებთან.

1965

მინდა გაიგო

მოდის...

მოღელავს ცის და მიწის შუა
ღამე უმთვარო
და უნაპირო.

ქუხილი ჩემი ძახილია, –
მინდა გაიგო,
რომ ისევ მოვკრეფ
ცის ტოტებზე ლალს და საფირონს
და კვლავ მოგართმევ ვარსკვლავების
ძვირფას თაიგულს.

1961

აღმართი

შენ დაიბადე...
და გამჩენმა ჯვარი აღმართა.
                და შენ მიდიხარ...
                მწევარივით
გზა წინ გაგირბის...
სიჩუმის მიღმა
მწუხრისფერი მოჩანს აღმართი.

1970

ბელურები

გათოშილი ბელურები მზეს ეძებენ
ალთას, ბალთას,
ეძახიან...
მაგრამ მზე კი შორსაა და აქ არ აღწევს.
მოსულა და ზამთრის
კართან
ყინვა კბილებს აკაწკაწებს.

1972

* * *

მოწმეა თვითონ –
ყოვლისმხილველი,
რომ სიცოცხლეში
ბუდობს სიკვდილი
და ვერასოდეს ვედარ გავყოფდი
ორად, თუნდაც ღმერთს
ამისათვის
მე მოვეკალი.
აი,
ამიტომ,
შორს მიმავალ გზაზე არყოფნის,
ჩემი სიცოცხლე
მე თვითონვე მიმყავს
ხელკავით.

1982

ვარსკვლავებში ჩაფიქრდა ზეცა

მწუხრის სიმშვიდე შემომადგა
გალობად გულზე,
ცისფერ გალობად
და წყალობად მაღალი უფლის,
და როცა ელვამ
მზერა უცებ მესროლა ბეცი,
მაშინ შეკრული
გაეხსნა შუბლი
და ვარსკვლავებში ჩაფიქრდა ზეცა.

1968

* * *

როგორც პრომეთეს სისხლის წვეთები –
მიწის ხსოვნიდან
ამოენთნენ
ყაყაჩოები,
და ზეაწვდილი წითელ ქოლგებით
მწვანე მინდვრები
გადაირბინეს...
ხოლო ზაფხული, ვნებააშლილ, შიშველ ქალივით
ზღვის ბნელ სიღრმეში შესულა და...
სხეულს იგრილებს.

1964

არმაზის სამარხები

პირდაღებულნი სდუმან ქვევრები,
სიმყუდროვეში
ხახამშრალი წევს
საწნახელი.
ღვინით გალეშილ ორშიმოსაც
ფერი უცვლია.
მიყრილ-მოყრილი დღეები ჩანს
და ვფიქრობ ასე:
ჩემს მამა-პაპათ
სიცოცხლის თასით,
წუთისოფელი უსავმთ...
მაგრამ ვერ დაუცლიათ.

1968

ᲬᲕᲘᲛᲐ

მეხი ხარხარით ელვის რაშს
კვლავ მოაქროლებს
უბელოს
და ოფლი ღვარად მოშხივის...
შორს,
მოჩანს
ერთი ღრუბელი –
მიტოვებული კოშკივით.

1964

MEMENTO

„შორეულ ზღვაში ჩაესვენა
ბედის ვარსკვლავი“.
რაფაელი

ულამაზესი სიცოცხლის ნგრევით
როცა დავტოვებ
სატრფოს გულითადს,
მრავალ ქარიშხალგამოვლილი
დაღლილი გემი, –
როდესაც გავალ
ამ ცხოვრების
ნავსადგურიდან,
ზღვა არ იქნება წყნარი
და მშვიდი
და როცა ჩუმად დამიტირებს
მწუხარე ბინდი,
სამარე ჩემი აღარ გაჭრათ
მწუხრის მერქნებად...
ზღვაში მისროლეთ...
სასაფლაო ყველაზე დიდი –
პოეტებს შორის – მე ერთს მექნება.

1969

საქართველოს

როგორ მაღლდები...
ოთხივ კუთხივ ჯვარი გწერია,
მაგრამ მე ვიცი, გედგა ჟამი
ყოფნა-არყოფნის,
ამის მოწმეა კრწანისი და ველი
მარტყოფის.
შამქორს!
მარაბდას!
დიდგორს!
ბასიანს! –
ეჰ, საქართველოვ!
სხვამ რა იცის,
თუ რა ფასი აქვს.

1979

ზე აიწია ქართლის ცამ

ცხოვრება იყო გაძლება... სიცოცხლე
                    იყო ზღაპარი...
ტაძრებს ანთებდნენ კელაპტრად
ბნელ ცის ქვეშ მამა-პაპანი.
აშენეს ციხე-კოშკები, ათი კი არა,
                    ასიცა,
მაგრამ... იქ, – სვეტიცხოველთან –
ზე აიწია ქართლის ცამ.

1964

გულდა კალაძე

მგოსნის და მხატვრის მედო ბორკილი...
ადრე წამომცდა სიმღერა გედის,
თუმცა სიცოცხლის უკვდავ ხეზე
ვიყავ ნამყენი,
დედა მელოდა...
და მე ერთხელ ხმა მესმა დედის
და... დაბლა მწუხრის კიბეებით
იმ ხმას გავყევი.

1988

ოცნება

ჩემი ოცნება
ცას შესცქერის ფრთააწურული
და გასაფრენად
განთიადს ეძებს,
ელვის სანთურზე სინათლე მდერის...
და დაღლილ მზერას
აცვივა მხრებზე
ციურ ვარსკვლავთა სიშორე და
ყვითელი მტვერი.

1968

ჩემი ეზო

ჰა, ჩემი ეზო,
სიხარულით შემოღობილი,
ჭიშკართან სამი ალვა მოჩანს,
როგორც სამება.
ციდან ჩამოაქვს წვიმას დამე და
სინოტივე,
ბნელს გალობს ჩიტი,
სევდიანი ისმის მოტივი
და წკავწკავებენ ნაგაზები შემოდამებას.

1968

ყანჩა

შორს, –
ვარსკვლავების ხშირ სიმწვანეში,
სიზმარეულ თუ
მთვარეულ გზებით
მიჰყივის ყანჩა
მიწის სიშორეს,
ფრთოსანთა დარდებს
და შემოდგომის ცის სიახლოვეს.

1959

* * *

თეთრი ღრუბლები სდუმან ზღვების
მღელვარ სიშორეს,
სინათლეებად ზვირთნი
მწვანე შფოთს აინთებენ,
და ცა მოიქნევს ვარსკვლავების ოქროს
სატევრებს –
სიზმრის ბნელი ტყის ასაკაფავად.
დაღლილი ღამე
ცისკრის მაღალ
კართან მოიცდის, –
სინათლისა და...
იდუმალი სიმყუდროვისთვის.

1969

დილა

მშიერი,
ნათელს მოწყურებული
და ზღვისპირიდან თოლიასებრ
ამოქროლილი
დილა, –
მამლების ყივილს იწვიმებს
და...
მზე როდესაც აფრინდება ცაში
ქორივით,
მაშინ დამფრთახლი ვარსკვლავების
მესმის წივწივი.

1967

* * *

მათი მზეც შედგა...
წუთისოფლლის მოკლე სამანი
ვეღარ იქნა და
ვერ გადალახეს,
თუმცა შუბებით და ისრებით
დიდხანს იელვეს,
წარსულში წვანან...
დაჰბიბინებთ ჟამთა ბალახი –
ურარტუელებს,
ქალდეველებს
და მიდიელებს.

1978

შუქრი მირცხულავა

ნუღარ ინატრებთ...
მეც თქვენსავით ერთ დროს ვნატრობდი ძილს...
საქართველოს სიყვარულზე ღამენათევი...
და... აი, ახლა მძინავს...
                მძინავს...
                ძილად ვიურვი...
არვინ მაღვიძებს...
                ძნელი ყოფილა,
ვაჰმე! ძილი... მარადიული.

1979

სულს მიგრილებენ

მე დავიკარგე შენს უდაბნოში
თეთრი დღეებით
და გვიგვინებით,
და მწვავდა შენი სიახლოვის
ცეცხლი –
მზისებრი,
მაგრამ მღელვარე
სულს მიგრილებდნენ
შენი თვალების ოაზისები.

1972

ფოთლები

ფოთლები... ო, ქარვის ფოთლები, –
ძვირფასი განძი და მზითევი,
წევს შემოდგომა.
ფოთლების
კუბოში,
სრულიად შიშველი
და სახეყვითელი.

1969

მოდი, აპრილო

ჩემი გალობა შემიზავე შენს სინათლეში,
შენი ფერების უშქარ ზღვაში
და ჟრიამულში,
და მომეც შენი ჯადოსნური
განსწავლულება,
აპრილო, მოდი ყვავილებით,
და ჩემს მამულში
გაზაფხულები კვლავ განფინე

სასწაულებად.

1966

* * *

წუხს მოლოდინი –
შეღამების ტევრით მოცული;
ხელდაკრეფილი, მწუხრის ვარსკვლავს
უმზერს მოთმენა
და მხრებზე აწევს სიშავე ღამის,
სცვივა და სცვივა სიმყუდროვის
ხმელი ფოთლები
იმედდაკარგულ დუმილის ყვავილს.

1976

* * *

ცისარყტელების ფერად არშინით,
ადარ ზომავდა ქარიშხალი
ტალღების ფარჩებს.
ვერცხლისფრად იელვებდა ქორჭილა,
როგორც უეცარი
ელდა,
ზღვა გაწვრთნილ ლომივით წყნარი
და მორჩილი –
ნაპირთან თვლემდა.

1980

1907 წელი

დგას ობელისკთან 1907,
დამწუხრებული
                  და თავდახრილი,
სახეს სირცხვილის უწვავს ალმური...
მოველ!
                  კვლავ მოველ!
საწუხარი ჟამი ვიდროვე.
გამოვიგლოვე ბევრი,
                  მაგრამ ეს წიწამური,
რა ვქნა, ვერაფრით გამოვიგლოვე.

1968

* * *

ნაპირთან ისევ თამაშობს ტალღა
და არ იქნა და
აღარ იძინებს...
შენ კი ისე ხარ კოლხურ მთვარის
ვერცხლით მოსილი
და ცა თვალებში
ისე გიკრთის
და გიციმციმებს,
თითქოს ამ წუთას ჩამოფრინდი
ანგელოსივით.

1974

ძლევამოსილი იმპერია

მთები სიმაღლეს ისევ გალობენ
                  და ჩემს მამულში
                  სიმარტოვეს,
წუხს სიღარიბე.
ირგვლივ სიმღერების სიმრავლე და
                  სიბერეა.
და... მაინც მიიწევს მაშრიყიდან –
                  მაღრიბით
ჩემი ხმის –
                  ძლევამოსილი იმპერია.

1971

* * *

დრო გადმოდგება მწუხრის სერიდან
და სიშორეს და
სიმარტოვეს
ყმუის მგელივით,
როცა ომებით მკერდდაისრულ
წარსულს შევუვლი.
ფარაონების მდვრიე ციდან წვეთავს
მირონი...
პირამიდების ჩრდილში სძინავთ
ათასწლეულებს,
სფინქსის სიზმრებში ბორგავს რომი
და ბაბილონი.

1969

* * *

თვალში ჩავცქერი მიუსაფარ
                  და ლამაზ სურვილს,
უსიყვარულოდ ფრთამოკვეცილს
და წელში მოხრილს,
რომელსაც შენში უშფოთვევლად სძინავს.
ნუ გეშინია,
                  შენი გულის პატარა ქოხში
ნაკვერჩხალივით
                  სიყვარული დაიდებს ბინას.

1976

ჩვენ ნათელს ვგალობთ

ჩვენ მგალობელი ხეები ვართ
სიცოცხლის ტყეში,
სიმაღლესა და სიმწვანეს ვგალობთ.
ჟამი რაშივით მიჭიხვინებს
ფაფარაშლილი...
და ცა
საწუთროს მოჰგავს
სიჭრელით...
ჩვენ ნათელს ვგალობთ...
და არ გვაშინებს
დღისით და ღამით ნაჯახის ხმა
ძველი ტყისმჭრელის.

1967

* * *

ზამთარს გაუცვდა ქათქათა ბეწვი
                  და ღია ცის ქვეშ მოწყენილი
დგას, ვითარცა ქვაზი, –
როგორც იტყვიან პოეტები:
                  არი, არც არი,
ციცქნა ჩიტი კი დასკუპულა საფლავის
ქვაზე
და უსტვენს...
უსტვენს გულისფანცქალით.

1965

* * *

ლოცვის ბურანში დგას ეკლესია,
ვით ანგელოსი
ბროლის
ფრთოსანი,
გაიწკრიალებს სადღაც ოსანა
და ემატება ლოცვებს
სიმწვანე.
ვუმზერ ჯვარზეცმულ მაცხოვარს და...
მე მწამს მგოსანი
და რა ვქნა, სიკვდილს ვეღარ
ვიწამებ.

1965

* * *

თურქი...
        არაბი...
                თათარ-მონღოლი...
არ იყო მიწა, საქართველოს მტერთა
                        დამტევი.
და ბრძოლით დაღლილ დღეს და ღამეს
                და ჩემს წინაპარს
                წლობით კი არა,
საუკუნობით,
ეძინა პირზე ბასრი სატევრის.

1985

ხორბა

აქ ვიშვი...
                  და აქვე მსურს დარჩენა,
                  ღამეა მაღალი და
                  თუთარჩელა,
სიზმრებში ცურავენ ბავშვები –
                  მკერდზე მიკრულები დედების,
მე ვდგავარ ჭასთან და...
                  ჭაში კი არა,
ჩემს ბავშვობაში ვიხედები.

1966

მზეს ყივიან ჩემი ლექსები

მზე არის ჩემი დასაწყისი
                  და დასასრული...
და სტრიქონების ხნულებს შორის
                  მზე ითესება –
ყოველთვის, როცა დღე ღამდება,
დილა თენდება.
და მამლებივით მზეს ყივიან
                  ჩემი ლექსები
სულმოუთქმელად
                  და გადამდებად...

1972

ფიფქები

ჩამოდიან და...
                    თეთრი ფიფქები
თოვლის ქათქათა ტაძრებს აგებენ...
ჟამთა დინება
                    თვითონ მთებმაც
                              ვერ შეაჩერეს
და ზვავთა მჯიღებს ბნელს
ურტყამენ...
                    და გაშმაგებით
მუხლზე იმსხვრევენ მაღალ ჩანჩქერებს.

1967

წყარონი

წამოდგებიან სალი კლდეები
                  და ცას ფოლადის
                  მხრებით ასწევენ.
უცებ შეწყდება ხევხუვებში
წვიმის წკარუნი.
და მერე მთაში ცისარტყელას
                  მოხრილ ყანწებით
ღრუბლების ნაჟურს და სიშორეს
                  სვამენ წყარონი.

1972

საქართველოს გაზაფხული

ღელავს... –
ენგური
დაგრეხილ მთებით
წელზე ჰკიდია სატევარივით...
არსაით მტერი...
აღმოსავლეთით მტკვარი,
როგორც ხელი მარჯვენა,
ხოლო რიონი – დასავლეთით, –
როგორც მარცხენა,
გაუშლია და...
საქართველო მოყვასს მოელის.

1963

ჯავახეთში

ცაში აფრენილ სალ-კლდიდან
წუხილი ჟონავს
ციხეთა.
ყივილის ისარი ეტყორცნეთ,
არავინ გადმოიხედა.
დუმს ღამე...
ისევ შევყივლეთ,
წამით გაცოცხლდა
წარსული,
კოშკიდან მთვარე გადმოდგა,
ვით ათაბაგის ასული.

1961

* * *

ათქვირებული ყანა ქვითქვითებს
ქოჩორს უვარცხნის
სიმინდს ნიავი.
(არა უშავს რა, მოსავალზე
დედა არ ჩივის)
ყანის შრიალში,
დაღალული
მამის მაგიერ,
დადის მოხუცი მამის
აჩრდილი.

1966

* * *

გვიანობამდე ღრეობდნენ მთები –
სვამდნენ მთოვარეს
ბილიკების მოხრილ
ყანწებით,
მერე დაღლილნი მიეყარნენ
ნაპირზე არაგვის,
ღამის ცის ქვაბში შუქი დარჩათ
ჩაუქრობელი, –
ბუუტავს მყინვარი.

1967

მწუხრი

ასკილის კუნძზე ნაკვერჩხლები თითებს
იმტვრევენ
შუაკერასთან
დედა სოველ შეშას ალაგებს,
კვამლი ცას ეძებს,
და ჯარგვალის კუნჭულს დაივლის,
მწუხრი კი
ისევ მოადგება მეგრულ
ალაგეს
რძით სავსე მთვარით
და ძროხების ნაცნობ ბღავილით.

1967

ვარსკვლავები

სხედან სიშორის კენწეროებზე
ვარსკვლავები და
ღამეებით უბეს ივსებენ.
ნაკადულებად დიან გამები...
ტყიდან გამოაქვს
თმაქოჩორა ნიავს ნისლები,
როგორც წუხილი,
გულბინდოვან შემოღამების...

1964

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....5
წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა.....25
ძველი გრავიურა.....26
თებერვალი.....27
*** (მიედინება ყოფნა წუხილად...).....28
სამშობლოვ ჩემო.....29
ზამთარი.....30
დუმს დედამიწა.....31
დაჩი.....32
სანამ დროა.....33
რემა ზვირთების.....34
მაჩაბელი.....35
ვინ იყო იგი.....36
კრწანისის ველი.....37
სტუდენტობა.....38
*** (მე შენში ვცოცხლობ...).....39
დილის ნათელი.....40
ჭიანჭველები.....41
ასკილი.....42
მურადა.....43
მგოსნის დედა.....44
მამის საგლოვად.....45

მოხუცი 46
ლენინგრადის ღამე 47
*** (მარშრიყის მხრიდან და
მაღრიბიდან) 48
ვაზი და ქვევრი 49
გეძახის გზები 50
მდინარეები შენი ძარღვია 51
სოფელი 52
*** (ცაცხვების ჩრდილში მიმწუხრისას...) .. 53
*** (მოგვდევს და მოგვდევს...) 54
პატარა ქუჩა 55
ჟამს გათენების 56
ტყის იდილია 57
*** (წახველ... დამტოვე...) 58
*** (ხელაპყრობილი მზე და ლოცვები) 59
*** (მომეჩვენება...) 60
დიოსკურია 61
*** (სძინავს დიდუბეს...) 62
ცისკრად მოფრენა 63
ჟამს მიმწუხრისას 64
დეკემბერი 65
არარატთან 66
ეჰა, მამულო! 67
*** (სიცოცხლის ტოტზე ზის და
გალობს...) 68

აკაცია 69
*** (ზაფხულ და ზამთარ...) 70
*** (აღმოსავლეთით, – ქართლის
მთებიდან) 71
მოხუცის სიბრძნე 72
*** (დღე ცეცხლის ხარებს...) 73
გთხოვ, მაპატიო 74
შენ ასე იტყვი 75
მოვა საღამო 76
ეჰ, ისტორია 77
ფიქრი დედაზე 78
წლები... წლები 79
*** (ეს მე ვარ ზღვაო, შენი ხატება) 80
წიწამურთან 81
*** (დასავლეთის ცამ ჭიქა წყალივით) 82
მთებს გოლიათებს 83
ენკენისთვე 84
რომანსერო 85
წინაპრები 86
სვეტიცხოველი 87
ჟამთა სასწორი 88
არაგვი 89
*** (შემოეხიზნენ საომარ ველს...) 90
შენზე ვღაღადებ 91
ჩემი დღეები 92

*** (სახედამწვარი ბედუინივით)..... 93
გაზაფხული..... 94
ვარსკვლავების ბაღი..... 95
*** (მიწყნარდა ლოცვა...)..... 96
*** (დამტოვე)..... 97
ვინ არის იგი..... 98
*** (ჩანგი მიბოძე)..... 99
*** (შორეთის ფსკერზე...)..... 100
დავით გარეჯი..... 101
ერთი ვარსკვლავი..... 102
მამის გახსენება..... 103
*** (მიბოძე ახლა)..... 104
სოფლის კაცები..... 105
ღამე არმაზში..... 106
*** (როცა უეცრად)..... 107
*** (წარსულის ტრამალს...)..... 108
ჩემი სიცოცხლის შეთვალულ მტევანს..... 109
ნარიყალა..... 110
*** (ამოუდამდა თვალები ლოდინს)..... 111
*** (სიჩუმეს მძევლად დავუტოვე ოდა...).. 112
კოლხეთი..... 113
*** (ღამის ჭიშკართან...)..... 114
*** (სიცოცხლის მწვანე ბილიკს
მივყვები...)..... 115
1941 წელი..... 116

*** (ღამეა ისევ ზღვასთან გახსენე..)..... 117
ისტორია..... 118
რუხის ციხესთან..... 119
სამშობლოს მთები..... 120
*** (ფიქრები ღამით უფრო ღრმავდება)... 121
ჩემი რწმენა..... 122
სულთათანათი 123
*** (შენი სინათლიის დგება უკუნი)..... 124
*** (მზემ ჩაიმუხლა...)..... 125
მივიწყებული საყდარი 126
შენი დუმილი..... 127
*** (მთები ქარიშხლის ჭიშკრებს
კეტავენ)..... 128
გლოვის მეუფე 129
*** (იდუმალების შორეული რეკენ
ზარები)..... 130
*** (მოთმინების ცივ ურემზე
შებმულს) 131
ლექსის კაცი..... 132
*** (სიმყუდროვეში სძინავთ
უფსკრულებს)..... 133
*** (ქარებს გადმოაქვთ წარსულიდან)..... 134
*** (სადღაც უჩემოდ მიდის შენი გზა)..... 135
ხსოვნის სანთლებით..... 136
*** (ვეღარ დავლაშქრე ჩემი დღეები)..... 137

ვითარც სინათლე..... 138
ენმერქარი 139
დღიდან გაჩენის 140
*** (ჩემს სულს აწვიმს... და...)..... 141
ორი არაგვი..... 142
შაშვის სიკვდილი..... 143
შუამთაში 144
სემირამიდა 145
მონღოლები 146
*** (ჩალისფერი დროშა – გორგასლიანი). 147
ღამე..... 148
ჩემი წითელი საპერანგეა 149
სიჩუმე..... 150
*** (ზღვის ტაძარში, საღამოს თუ დილით...)
..... 151
*** (ქართული სიტყვის ათასწლოვან
ტოტებზე მჯდარი)..... 152
საათი..... 153
*** (ავაზასავით კლდეთა ქიმზე...) 154
ღაჟო..... 155
ზღვები..... 156
ჩემი გალობა 157
ხერთვისის ციხე..... 158
*** (ბრძოლით დარლილი და
დაქანცული)..... 159

*** (თვლემამორეულ ნაკადულთან
გაქრნენ ჩრდილები) 160
ნაქალაქარი 161
დგას გორგასალი 162
*** (ტალღებს გრიგალში უნდათ
გაფრენა) 163
მამულო 164
*** (მენარგისება ცა – თუთარჩელა) 165
ნათელს გალობენ 166
*** (საწუთროს გზაზე საუკუნენი) 167
ჩემი ღრუბლები 168
ხუროთმოძვარი 169
აღმოსავლეთით 170
*** (ზღვისკარად ლოცვად დგანან
პალმები) 171
ჩემს აივანთან 172
*** (საღამოვდება...) 173
ყოველ საღამოს 174
გითვალთვალებენ 175
ვით აქილევსის ვება ფარი 176
ირხევა ფიქრი 177
მოვლენ მერცხლები 178
რწმენის ცა 179
ქარი 180
*** (აჰა, ოცნება) 181

სოფელში 182
გადაფრენა 183
*** (არც ოქრო...) 184
*** (ტოტიდან ტოტზე ჩამოხტის წვიმა) 185
*** (გმირთა სამეფო და საბრძანისი) 186
*** (ცის პაპირუსზე მთელი ღამე) 187
*** (ჩემმა გამჩენმა...) 188
*** (ჩემს ქართულ სიტყვას...) 189
ამირანი 190
ქაშუეთი 191
*** (ჩამქრალ კერასთან მოხუცი იწა) 192
*** (ღამენათევი – მზე...) 193
დღე და ღამის ფანტაზია 194
*** (უყივის მოძეს...) 195
ბალახი 196
ია 197
მინდა გაიგო 198
აღმართი 199
ბეღურები 200
*** (მოწმეა თვითონ ყოვლისმხილველი) 201
ვარსკვლავებში ჩაფიქრდა ზეცა 202
*** (როგორც პრომეთეს) 203
არმაზის სამარხები 204
წვიმა 205
MEMENTO 206

საქართველოს.....207
ზე აიწია ქართლის ცამ.....208
გულდა კალაძე.....209
ოცნება.....210
ჩემი ეზო.....211
ყანჩა.....212
*** (თეთრი ღრუბლები სდუმან...).....213
დილა.....214
*** (მათი მზეც შედგა...).....215
შუქრი მირცხულავა.....216
სულს მიგრილებდნენ.....217
ფოთლები.....218
მოდი აპრილო.....219
*** (წუხს მოლოდინი...).....220
*** (ცისარტყელების ფერად არშინით).....221
1907 წელი.....222
*** (ნაპირთან ისევ თამაშობს ტალღა).....223
ძლევამოსილი იმპერია.....224
*** (დრო გადმოდგება მწუხრის
სერიდან).....225
*** (თვალში ჩავცქერი მიუსააფრ და
ლამაზ სურვილს).....226
ჩვენ ნათელს ვგალობთ.....227
*** (ზამთარს გაუცვდა ქათქათა ბეწვი)...228
*** (ლოცვის ბურანში დგას ეკლესია).....229

*** (თურქი... არაბი...) 230
ხორგა 231
მზეს ყივიან ჩემი ლექსები 232
ფიფქები 233
წყარონი 234
საქართველოს გაზაფხული 235
ჯავახეთში 236
*** (ათქვირებული ყანა ქვითქვითებს) 237
*** (გვიანობამდე ღრეობდნენ მთები...) 238
მწუხრი 239
ვარსკვლავები 240

მილოცვა

„ნიკოლოზ ფირცხალავას" 100-წლისთავთან
დაკავშირებით, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების ლოცვისთვის, ლაღისა
ამ ოთხი, ერისადმი ბევრ ფიქრიანი
ბუნებისა ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 56

VAZHA EGRISELI

"KOLKHURI PHSALMUNEBI"

ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 56

გამომცემლობის	
რედაქტორი	– მორისონ ქობულია
მხატვარი	– სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი	– ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი	– ნანა დუმბაძე
კორექტორი	– იამზე რობაქიძე
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com